



რეგისტრაციის N 54/36

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდისთვის ფინანსური ანგარიშგების (პროგრამული
კოდი 30 01 01 01) აუდიტის ანგარიში

ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ეგზ. N 1

„ვამტკიცებ“

თავდაცვის, საზოგადოებრივი
წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ვაჟა ბრაგვაძე

„15“ 11 2017 წელი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდისთვის ფინანსური ანგარიშგების (პროგრამული
კოდი 30 01 01 01) აუდიტის ანგარიში

ლ/54/36

სარჩევი

ტერმინთა განმარტება.....	3
ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს შესახებ.....	4
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა	5
1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	5
1.2. პირობითი მოსაზრების საფუძვლები	5
1.2.1 მოთხოვნები	5
1.2.2 ვალდებულებები	8
1.2.3 არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგების აღურიცხაობა	10
1.2.4 ღირებულების გარეშე აღრიცხული ქონება.....	11
1.2.5 განმარტებით შენიშვნებში ანგარიშგების მუხლების შესახებ არასაკმარისი ინფორმაცია	12
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	13
2.1 მოიჯარეების მიმართ არსებულ მოთხოვნებზე დაგვიანებული რეაგირება	13
2.2 საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა არასრულად შესრულება	14
2.3 ბიუჯეტის დაგეგმვის ხარვეზები	16
2.4 შრომის ანაზღაურებასა და საკადრო სისტემაში არსებული ნაკლოვანებები.....	18
2.5 თანამშრომლებისთვის ბინის ქირის განსაზღვრის ნაკლოვანება	21
2.6 სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები.....	22
2.6.1 შესყიდვების დაგეგმვის ნაკლოვანებები	23
2.6.2 არაკონკურენტული და არშემდგარი ტენდერები	25
2.7 ავტომატური დაზღვევის ნაკლოვანებები	32
2.8 საიდუმლო გრიფით განხორციელებული შესყიდვები	35
3. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით	35
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით	36
დანართები - სამინისტროს (30 01 01 01) ფინანსური ანგარიშგება	38

ტერმინთა განმარტება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - **სამინისტრო**

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი - **მინისტრი**;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფები რომლებიც ფინანსდებიან 30 01 01 01 პროგრამული კოდით- **სამინისტროს ცენტრალური აპარატი**;

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სსიპ**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტი - **ეკონომიკური დეპარტამენტი**;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტი - **ლოჯისტიკის დეპარტამენტი**;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრი - **სსღც**;

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - **შპს**;

ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი დაწესებულებების სისტემა, რომელიც ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად.

სქემა N1. სამინისტროს სტრუქტურა



სამინისტროს სისტემისათვის (კოდი 30 00) გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებები გათვალისწინებულია 6 პროგრამის დასაფინანსებლად. კერძოდ:

ცხრილი N1. პროგრამების საბიუჯეტო ასიგნებები (ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	ასიგნება	ხვ. წილი (%)
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	595,000.00	100
30 01	საზოგადოებრივი წესრიგის, საზღვრის დაცვისა და საერთაშორისო თანამშრომლობა	510,532.00	85.8
	სხვა დანარჩენი პროგრამები	84,468.00	14.2

30 01 პროგრამა მოიცავს 15 ქვეპროგრამას, საიდანაც მნიშვნელოვანია სამინისტროს ცენტრალური აპარატი, პროგრამული კოდით - 30 01 01 01.

ცხრილი N2. აპარატის 2016 წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები (ათას ლარებში)

პროგრ. კოდი	დასახელება	2016 წ. დამტკ. ბიუჯეტი	2016 წ. დაზ. ბიუჯეტი	2016 წ. საკასო ხარჯი	სხვაობა დამტკ.-დაზუსტ	შესრ.%
30 01 01 01	ცენტრ. აპარატი სულ	131,330.00	176,909.66	178,160.90	-45,579.66	100.7
	ხარჯები	128,436.00	168,629.73	169,702.34	(40,193.73)	100.6
	შრომის ანაზღაურება	57,204.00	85,563.43	85,562.55	(28,359.43)	100.0
	საქ. და მომსახ.	58,645.00	60,299.03	61,370.61	(1,654.03)	101.8
	არაფინანს. აქტ. ზრდა	2,894.00	8,279.94	8,458.56	-5,385.94	102.2

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას

1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის (30 01 01 01) შემდგომში „სამინისტრო“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული შედეგების შესახებ ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: ფულადი სახსრების შესახებ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ დანართებს¹ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად ასახავს სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.2. პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1.2.1 მოთხოვნები

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსზე რიცხული დებიტორული დავალიანება შეადგენდა 15,894.0 ათას ლარს, რომელიც საანგარიშო პერიოდში გაზრდილია 17,328.8 ათას ლარამდე, დებიტორული დავალიანების სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილის სახით:

1: „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება, დანართები 1-დან 12-მდე.

ცხრილი N3. დებიტორული დავალიანება (ათას ლარებში)

დასახელება	31.12.2016	01.01.2016
მოთხ. ჯარიმებით, სანქც. და საკ. დაკავშ. სხვა შემოსავლებით	378.30	66.80
მოთხ. ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	295.20	150.70
მოთხოვნები ფულადი სახსრების დანაკლისებით	182.40	182.40
მოთხ. საქ. და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	2,227.80	1,964.60
მოთხ. არაფინანს. აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	4,586.60	5,230.40
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	5,398.80	3,897.20
ანგარიშვალდ. პირთა მიმართ მოთხ. ავანსად გაც. თანხებით	4,139.10	4,314.80
სხვა დანარჩენი მოთხოვნები	120.60	87.10
ჯამი	17,328.80	15,894.00

2017 წლის 1 იანვრისათვის დებიტორული დავალიანების მოცულობის 9%-იანი მატება ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2016 წლის 1 აპრილიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრი, როგორც დამოუკიდებელი საბალანსო ერთეული გაუქმდა და მის ბალანსზე რიცხული აქტივები და ვალდებულებები გაერთიანდა ცენტრალური აპარატის ბალანსში.

წინასწარი ანგარიშსწორების შედეგად წარმოშობილი დებიტორული დავალიანებები²

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 7,195.0 ათასი ლარი ირიცხებოდა მიმწოდებლებზე, როგორც წინასწარი ანგარიშსწორების შედეგად წარმოშობილი დებიტორული დავალიანება. წლის ბოლომდე აღნიშნული მაჩვენებელი 6,814.4 ათას ლარამდე შემცირდა, რაც ძირითადად 2015 წელს წარმოშობილი, მიმდინარე დავალიანებების შემცირების ხარჯზე მოდის.

აღნიშნული თანხიდან, 2,832.6 ათასი ლარი, 2007-2009 წლებში, ყოველგვარი საგარანტიო დოკუმენტაციის გარეშე ავანსად გადარიცხული არარეზიდენტი იურიდიული პირების ანგარიშებზე, რაც ძირითადად საიდუმლო შესყიდვებს უკავშირდება.

აუდიტორული პროცედურის შესაბამისად, 2016 წლის 31 დეკემბრისთვის დებიტორებზე რიცხული დავალიანებების დადასტურების მიზნით, 10 მსხვილ დებიტორ რეზიდენტ ორგანიზაციას, ჯამური დავალიანებით - 808.0 ათასი ლარი, 2016 წლის 9 ივნისს გაეგზავნა შესაბამისი წერილები. მათგან, 6 უკან დაბრუნდა იმ საფუძველით, რომ ვერ მოიძებნა ადრესატი. პასუხი მიღებულია მხოლოდ 4 ორგანიზაციიდან, საიდანაც ჩანს, რომ სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები არ ემთხვევა დებიტორის სააღრიცხვო მონაცემებს:

- შპს „ზიმოს“ პასუხის³ მიხედვით, საწარმოს სამინისტროს მიმართ არანაირი ვალდებულება არ გააჩნია, ხოლო შპს „ზიმო“ სამინისტროს ბალანსზე ირიცხება როგორც დებიტორი, დავალიანებით - 88.3 ათასი ლარი.
- შპს „თბილავიამშენის“ პასუხის⁴ მიხედვით, საწარმოს სამინისტროს მიმართ მოთხოვნის ნაშთი არ ერიცხება. მაშინ, როდესაც შპს „თბილავიამშენს“ სამინისტროს ბალანსზე ერიცხება

² „მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“ და „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“ - ანგარიშები 1431 და 1432.

³ 2017 წლის 30 ივნისის წერილი № 200/17

⁴ 2017 წლის 21 ივნისის წერილი N36

როგორც დებიტორული, ისე კრედიტორული დავალიანება, შესაბამისად 53.9 ათასი და 30.3 ათასი ლარი.⁵

- სსიპ - „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ სამინისტროს ბალანსზე ირიცხება დებიტორად, დავალიანებით 8.2 ათასი ლარი. დასტურის წერილის პასუხად, სააგენტოსა და სამინისტროს შორის გაფორმდა შედარების აქტი, რომლის მიხედვითაც, დავალიანება წარმოიშვა 2012 წლის აგვისტოში გადახდილი ავანსის შედეგად. ხოლო სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2017 წლამდე პერიოდში გაწეული მომსახურების ღირებულებამ 7.0 ათასი ლარი შეადგინა. აქედან გამომდინარე, რეალური დებიტორული დავალიანება არის 1.2 ათასი ლარი, რაც აისახა 2017 წლის 1 ივლისის ფინანსურ ანგარიშგებაში.
- შპს „მაგთიკომს“ სამინისტროს ბალანსზე 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხება 5.4 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, დასტურის წერილის მიხედვით კი პირიქით, იკვეთება სამინისტროს მიმართ 6.9 ათასი ლარის მოთხოვნების არსებობა.

მოთხოვნები ფულადი სახსრების დანაკლისებით

N1356 საბალანსო ანგარიშზე („მოთხოვნები ფულადი სახსრების დანაკლისებით“) 2003-2004 წლებიდან ირიცხება 182.4 ათასი ლარი. წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნული დანაკლისების წარმოშობის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები სამინისტროში არ არსებობს. კერძოდ:

- 140.4 ათასი ლარი, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის 2004 წლის წლიურ ბალანსზე რიცხული დანაკლისია, რომელიც ამ სამსახურის გაუქმების გამო გადაეცა სამინისტროს და დღემდე უცვლელად აისახება მის ბალანსზე. მათ შორის, 131.4 ათასი ლარი წარმოადგენს 2004 წლის 22 დეკემბერს ხანძარსაწინააღმდეგო მთავარი სამმართველოს მოლარეზე თავდასხმის შედეგად სალაროდან გატაცებული თანხის ოდენობას.
- 42.0 ათასი ლარი წარმოადგენს სამინისტროს ცენტრალური აპარატის საწყობში გამოვლენილი საწვავის ტალონების დანაკლისის ღირებულებას, რომელიც საბუღალტრო დოკუმენტაციაში 2005 წლის საწყის ნაშთად არის ასახული და დღემდე უცვლელად მომდინარეობს.

მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით

ბალანსზე, მოთხოვნების ნაწილში, აქტივების სახით ირიცხება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს განადგურებული და დაკარგული ქონების საბალანსო ღირებულება 5,074.9 ათასი ლარის ოდენობით, რაც ფაქტიურად არარსებულ ქონებას წარმოადგენს და ფინანსურ ანგარიშგებაში იწვევს აქტივების ნაშთის ზედმეტად წარმოდგენას.

⁵აწარმოს, სამინისტრომ 2016 წლის 19 აგვისტოსაც მიმართა (წერილი N117) დავალიანებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად და მაშინაც ანალოგიური პასუხი მიიღო.

მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ

სამინისტროს ბალანსზე რიცხული სრულად განადგურებული და დაზღვეული ავტომანქანის ჩანაცვლების პროცესში, მანქანის მოძიებას აწარმოებს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელზეც არის იგი მიმაგრებული, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში, ჩანაცვლების პროცესი რამდენიმე თვე გრძელდება. შედეგად, დაფიქსირდა ისეთი შემთხვევები, როდესაც 2015 წელს განადგურებული ავტომანქანების ჩანაცვლება განხორციელდა 2016 წელს, ხოლო 2016 წელს განადგურებულისა, მიმდინარე, 2017 წლის პირველ ნახევარში.

2016 წელს სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგმა“, 2015 წელს განადგურებული, 96.2 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების სხვადასხვა მარკის 5 ავტომანქანის ჩანაცვლების მიზნით სამინისტროს მიაწოდა ჯამში 103.6 ათასი ლარის ღირებულების ასევე ხუთი ავტომანქანა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა შემთხვევა დადგა 2015 წელს და მზღვეველი კომპანიის მიერ აღიარებული იყო ჩანაცვლების ვალდებულება, სამინისტროს ბალანსის შესაბამის ანგარიშზე კი (მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ - 1420) ამ სახის მოთხოვნა ასახული არ არის. 2017 წლის პირველ ნახევარში შპს „ჯი პი აი ჰოლდინგმა“ 2016 წელს განადგურებული, 128.4 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების სხვადასხვა მარკის 7 ავტომანქანის ჩანაცვლების მიზნით, სამინისტროს მიაწოდა ჯამში 134.2 ათასი ლარის ღირებულების ასევე 7 ავტომანქანა ისე, რომ შესაბამისი მოთხოვნები არ იყო აღრიცხული სამინისტროს წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

აღნიშნულის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტს მხოლოდ მაშინ მიეწოდება ინფორმაცია ავტომანქანის განადგურებისა და მისი ჩანაცვლების შესახებ, როდესაც ჩასანაცვლებელი ავტომანქანა უკვე მოძიებული, შესაბამისი ხელშეკრულებაც გაფორმებულია. ამ დროისათვის ფინანსური ანგარიშგება უკვე დასრულებული და წარდგენილია.

შედეგად, სამინისტროს წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში, ერთი მხრივ უცვლელად არის აღრიცხული განადგურებული სატრანსპორტო საშუალებები, ისე რომ მათზე ცვეთის დარიცხვაც ხორციელდება, მეორე მხრივ კი არ აღირიცხება სადაზღვევო კომპანიის მიმართ რეალურად არსებული მოთხოვნები. შედეგად, იზრდება დარიცხული ცვეთა და მცირდება მოთხოვნების ოდენობა.

1.2.2 ვალდებულებები

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბალანსზე რიცხული კრედიტორული დავალიანება შეადგენს 11,787.8 ათას ლარს. აქედან, 8,357.9 ათასი ლარი 2005 წლამდე თანამშრომლებზე გაუცემელ ხელფასებს წარმოადგენს.

კრედიტორული დავალიანებების სტრუქტურა ცხრილის სახით წარმოდგენილია ქვემოთ:

ცხრილი N4. კრედიტორული დავალიანებები (ათას ლარებში)

ვალდებულებები	ანგარიში	31.12.2016	01.01.2016
ვალდებულებები დეპოზიტებით	3110	0.8	161.4
საქ. მომსახ. მოწოდებით დარიცხ. ვალდებულებები	3210	1,531.8	1,127.4
არაფინ. აქტ. მოწოდებით დარიცხ. ვალდებულებები	3220	1,373.3	1,391.5
გადასახდელი სამემოსავლო გადასახადი	3243	447.0	447.0
სხვა გადასახდელები	3244	510.0	509.9
შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251	7,373.2	7,390.7
ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253	9.8	4.4
ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254	1.6	1.6
დამქ. მიერ გაწ. სოც დახმ. დარიცხ. ვალდებულებები	3255	-	47.2
ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260	283.3	127.4
სხვა დარიცხული მოკლევადიანი ვალდებულებები	3286	257.3	249.9
სულ		11,788.1	11,458.4

საქონლის, მომსახურების და არაფინანსური აქტივების მიწოდებით წარმოშობილი კრედიტორული დავალიანების 96% 2,780.8 ათასი ლარი, ასევე 2005 წლამდეა წარმოშობილი. კრედიტორების დიდი ნაწილი აღარ ფუნქციონირებს. მაგალითად, სამინისტროს 1998 წლიდან, კრედიტორად ერიცხება ბათუმის „წყალკანალტრესტი“ (გადმოეცა სსღც-დან), კრედიტორული დავალიანებით 184.6 ათასი ლარი. ასეთი დასახელების საწარმო დიდი ხანია აღარ არსებობს და წლების მანძილზე არანაირი მოთხოვნა ამ თანხის გადახდის თაობაზე სამინისტროში არ შესულა, მაგრამ კვლავ ირიცხება კრედიტორად.

სახელწოდებით „აზერბაიჯანი“, სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსზე 2004 წლიდან ირიცხება კრედიტორი, დავალიანებით - 1,245.1 ათასი ლარი. აღნიშნული დავალიანება საიდუმლო შესყიდვებს უკავშირდება, თუმცა ვერ დადგინდა კონკრეტული კრედიტორი, ხოლო სამინისტროში არსებული დოკუმენტები ვალდებულების რეალობას ვერ ადასტურებს.

2016 წლის 31 დეკემბრისთვის კრედიტორებზე რიცხული დავალიანებების დადასტურების მიზნით, 10 კრედიტორ ორგანიზაციას, ჯამური დავალიანებით - 669.6 ათასი ლარი, 2016 წლის 9 ივნისს გაეგზავნა შესაბამისი წერილები. 3 წერილი ადრესატის მისამართის მოუძიებლობის გამო უკან დაბრუნდა, ხოლო 2-ს პასუხი არ გაუცია. დანარჩენი 5 ორგანიზაციიდან მიღებული პასუხებიდან ირკვევა, რომ სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები არ ემთხვევა ამ ორგანიზაციების სააღრიცხვო მონაცემებს:

- სამინისტროს კრედიტორად აღრიცხული აქვს სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტი“ (ამჟამად - შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ საიდენტიფიკაციო კოდით - 404389693), დავალიანებით - 10.6 ათასი ლარი. საწარმოს პასუხის⁶ მიხედვით კი, სამინისტროს საწარმოს მიმართ გააჩნია 22.9 ათასი ლარის დავალიანება.
- სამინისტროს, შპს „ავიასაწვავსერვისი“ ორჯერ აქვს აღრიცხული კრედიტორად. პირველ შემთხვევაში 25.1 ათასი ლარის დავალიანებით, რომელიც წარმოშობილია უშუალოდ

⁶2017 წლის 4 ივლისის წერილი

ცენტრალური აპარატის მიერ მიღებული საწვავის ღირებულების გადაუხდელობით 2004 წელს და მეორე შემთხვევაში 33.3 ათასი ლარის დავალიანებით, რომელიც გადმოეცა სსდ-ს შემოერთების შედეგად, როგორც 2002 წელს წარმოშობილი დავალიანება. საწარმოს პასუხის⁷ მიხედვით, სამინისტროს საწარმოს მიმართ გააჩნია 2007-2008 წლებში წარმოშობილი მხოლოდ 33.3 ათასი ლარის დავალიანება.

- შპს „დაგის“ (კრედიტორული დავალიანებით - 34.7 ათასი ლარი) პასუხის⁸ მიხედვით საწარმოს სამინისტროს მიმართ მოთხოვნა არ ერიცხება, რადგან აღნიშნული თანხა მან, ჯერ კიდევ 2012 წლის 24 ოქტომბერს ამოიღო სადაზღვევო კომპანიისაგან. 2017 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ეს თანხა უკვე ჩამოიწერა სამინისტროს მიერ.
- სს „საქ.გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია“ დავალიანებით 326.9 ათასი ლარი წერილი გაეგზავნა სს „გაერთიანებული ტელეკომის“ სახელზე⁹, საიდანაც მიღებული პასუხის მიხედვით კომპანიას სამინისტროს მიმართ აღრიცხული აქვს 5.5 ათასი ლარის მოთხოვნა. ამ შემთხვევაში, არ დადასტურდა თითქმის 322.0 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანების არსებობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს ბალანსზე 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული კრედიტორული დავალიანების უტყუარობა და სიზუსტე ვერ დასტურდება.

სამინისტროში გარკვეული საქმიანობაა გაწეული ხანდაზმული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების შემცირების თვალსაზრისით. კერძოდ, სამინისტროს ბალანსზე რიცხული მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის, ურთიერთშედარების აქტების გაფორმების, მათი რეალობის, ხანდაზმულობის, ამოღების ალბათობის შესწავლის და ჩამოსაწერი დავალიანებების დადგენის მიზნით, მინისტრის ბრძანებით¹⁰ შექმნილია საინვენტარიზაციო კომისია, რომელიც იხილავს ხანდაზმული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების ჩამოწერის საკითხებს, თუმცა კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილებები მიღებული არ არის.

1.2.3 არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგების აღურიცხაობა

2016 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფებზე რიცხული მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, მინისტრის 2016 წლის 24 ოქტომბრის ბრძანებით¹¹. შეიქმნა საინვენტარიზაციო კომისია, ინვენტარიზაციების დასრულების ვადად კი განისაზღვრა 2016 წლის 16-26 დეკემბერი.

⁷2017 წლის 20 ივნისის წერილი N021/17

⁸2017 წლის 12 ივლისის წერილი N01/12/07/17

⁹საიდენტიფიკაციო კოდი - 203837875

¹⁰2014 წლის 22 ივლისის N531 ბრძანება. 2016 წლის 12 ოქტომბრის N575 ბრძანებით გარკვეული ცვლილებები შევიდა კომისიის შემადგენლობაში

¹¹N591; N592; N593; N594; N595; N596; N597

აუდიტის ობიექტის განმარტებით, ჩასატარებელი სამუშაოების დიდი მოცულობის გამო, კომისიამ დადგენილ ვადებში ვერ დაასრულა ინვენტარიზაციები და მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის ბრძანებით¹² ოთხ ქვედანაყოფში ეს ვადები გაგრძელდა 2017 წლის 30 მარტამდე.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბუღალტერიას 26 აპრილს წარედგინა ინვენტარიზაციების მასალები¹³, შემოჯამებული ოქმებით, რომელთა მიხედვითაც, სხვადასხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებში გამოვლინდა თითქმის 167.2 ათასი ლარის ღირებულების აქტივების დანაკლისი.

იმ მიზეზით, რომ ინვენტარიზაციების შედეგები ბუღალტერიას წარედგინა წლიური ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ (ვადა განსაზღვრულია 1 აპრილამდე), ზემოხსენებული დანაკლისი სამინისტროს წლიურ ანგარიშგებაში არ ასახულა.

ამავე დროს, არ განხორციელებულა დანაკლისის დაკისრება მატერიალურად პასუხისმგებელი პირებისათვის ან მასალების გადაცემა სამართალდამცავი ორგანოებისათვის, რადგან მიმდინარეობდა ინვენტარიზაციის შედეგების გაანალიზება.

ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორმა წერილით მიმართა ლოჯისტიკის დეპარტამენტის დირექტორს¹⁴, სადაც დაფიქსირებულია, რომ ზემოხსენებული ინვენტარიზაციების შედეგად გამოვლენილი დანაკლისებთან დაკავშირებით მოძიებულია ზოგიერთი მატერიალური ფასეულობა, ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მაგალითად: სამინისტროს ადმინისტრაციაში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა მობილური ტელეფონის დანაკლისი, რომელზეც არსებობს გენერალური ინსპექციის დასკვნა¹⁵ და მინისტრის 2016 წლის ბრძანება¹⁶, რომელთა მიხედვითაც, აღნიშნული ტელეფონი ჩამოწერილია.

ეკონომიკურ დეპარტამენტში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად დანაკლისად დაფიქსირებული 12 ერთეული ვიდეოკამერა მოძიებულ იქნა ოპერატიული უზრუნველყოფის დეპარტამენტში და ა.შ.

შედეგად, წლიური ინვენტარიზაციების დასრულება დროში გაიწელა და ჯერ მიმდინარე პროცესია, რაც დროულად დასრულებას და შესაბამისი საბუღალტრო გატარებების განხორციელებას საჭიროებს.

გამომდინარე აღნიშნულიდან, 2016 წლის 31 დეკემბრისთვის რიცხული მატერიალური ფასეულობების რეალობა ვერ დასტურდება.

1.2.4 ღირებულების გარეშე აღრიცხული ქონება

სამინისტროს კუთვნილი აქტივების ნაწილი, განსაკუთრებით იარაღი და სხვა სპეცდანიშნულების ქონება, სხვადასხვა მიზეზების გამო მხოლოდ რაოდენობრივად არის აღრიცხული, ამიტომ სამინისტროს წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მათი ღირებულება არ ასახება.

¹²ბრძანებები N591; N594; N596 და N597

¹³2017 წლის 26 აპრილის N985563 წერილით

¹⁴2017 წლის 4 აგვისტოს წერილი N1869539.

¹⁵2015 წლის 22 აგვისტოს დასკვნა

¹⁶N697

დამკვიდრებული პრაქტიკით ქვეყნის ძალოვან სტრუქტურებს¹⁷ შორის ხშირია სპეცდანიშნულების ქონების გადაცემა, რაც ხორციელდება მხოლოდ რაოდენობრივად, ფასების მითითების გარეშე. 2016 წლის მანძილზეც რამდენჯერმე განხორციელდა ქონების ურთიერთგადაცემა მხოლოდ რაოდენობრივად.

მაგალითად, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით¹⁸ სამინისტროს სარგებლობის უფლებით, უვადოდ გადაეცა შვიდი ერთეული საფრენი აპარატი (შვეულმფრენები) და 1 სატვირთო ავტომანქანა. ქონება, რომელიც გარკვეულ ღირებულებას წარმოადგენს, თავდაცვის სამინისტროდან გადმოცემულია ღირებულების მითითების გარეშე. სამინისტროს განმარტებით არ განხორციელებულა მათი შეფასება, ვინაიდან ქვეყანაში ამ ტექნიკის შემფასებელი სპეციალისტი არ არის. მინისტრის ბრძანებით¹⁹ ზემოხსენებული ქონება გადაეცა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სასაზღვრო პოლიციას, ასევე ღირებულების გარეშე.

წლების მანძილზე შესაბამისი ანგარიშგებები შეიცავდნენ უზუსტობებს იმის გამო, რომ სამინისტროს მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები მხოლოდ, რაოდენობრივად იყო აღრიცხული. მათგან, ნაწილი 2016 წელს შეფასდა, რის შედეგადაც ბალანსზე აღირიცხა 414.1 ათასი ლარის ღირებულების, საქართველოს სხვადასხვა რაიონში არსებული 11 მიწის ნაკვეთი. თუმცა, ეს პროცესი არ დასრულებულა.

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სამინისტროს ბალანსზე ირიცხება ისეთი მიწის ნაკვეთები, რომელთა შეფასება არ განხორციელებულა. მაგალითად:

ცხრილი N5. ღირებულების გარეშე აღრიცხული მიწის ნაკვეთები

მდებარეობა	ფართობი
გარდაბანი, სოფელი მარტყოფი	38.572 კვ.მ
გარდაბანი, სოფელი მარტყოფი	10.498 კვ.მ
ქ. მცხეთა	6.640 კვ.მ
ქ. თბილისი, ავჭალის ქუჩა 17	15,205 კვ.მ

შედეგად, სამინისტროს კუთვნილი აქტივების ჯამური ღირებულება შემცირებულადაა წარმოდგენილი.

1.2.5 განმარტებით შენიშვნებში ანგარიშგების მუხლების შესახებ არასაკმარისი

ინფორმაცია

სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებში არასაკმარისადაა წარმოდგენილი ანგარიშგების მუხლების ტექსტური აღწერილობა და მათ შესახებ დეტალური ინფორმაცია. ზოგიერთი მუხლი შენიშვნებში საერთოდ არ არის ნახსენები. მაგალითად, N1356 საბალანსო ანგარიშის შესახებ („მოთხოვნები ფულადი სახსრების დანაკლისებით“), რომელზეც ირიცხება 182.4 ათასი ლარის მოთხოვნები, დავალიანების აღწერა და დეტალური ინფორმაცია განმარტებით შენიშვნებში დაფიქსირებული არ არის, რაც ხელს უშლის

¹⁷ თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროები, სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახური, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

¹⁸ 2015 წლის 13 აგვისტო N553

¹⁹ 2016 წლის 30 მარტის N25 ბრძანება

ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ს მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 მოიჯარეების მიმართ არსებულ მოთხოვნებზე დაგვიანებული რეაგირება

საბალანსო ანგარიშზე (N1355), აღირიცხება მოთხოვნები მოიჯარეების მიმართ, რომელზეც 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთად ირიცხებოდა 150.7 ათასი ლარი. წლის მანძილზე ეს თანხა 144.5 ათასი ლარით გაიზარდა და 31 დეკემბრის მდგომარეობით 295.2 ათასი ლარი შეადგინა.

- შპს „ნიგი 2009“-ის მიმართ ირიცხება დავალიანება 93.9 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული კომპანია, როგორც სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებისა და მორიგე თანამშრომლების კვებით უზრუნველყოფის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტი, 2014 წლის 11 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში, რამდენიმე ობიექტზე ფლობდა ფართებს. 2014 წლის განმავლობაში, სამინისტროს მიერ კომპანიისათვის გადახდილია ჯამში 1,196.2 ათასი ლარი, ისე, რომ არ განუხორციელებია მისგან საიჯარო ქირის სახით არსებული დავალიანების დაქვითვა და ბიუჯეტში გადარიცხვა. შედეგად, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას საიჯარო ქირის სახით არსებული დავალიანების ძირითად თანხას (88.5 ათასი ლარი) დაემატა საურავი - 5.4 ათასი ლარის ოდენობით და დებიტორულ დავალიანებად აღირიცხა 93.9 ათასი ლარი.

დავალიანების ამოსაღებად სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მიერ გატარებული ღონისძიებები დაგვიანებული და უშედეგო აღმოჩნდა, რადგან კომპანიას საერთოდ არ აღმოაჩნდა აქტივები. კომპანიას სასამართლოს განჩინებით²⁰ უარი ეთქვა გადახდისუუნარობის საქმის გახსნაზე იმ მოტივით, რომ საპროცესო ხარჯის (5.0 ათასი ლარი) გადახდის საშუალებაც არ ჰქონდა. ამავე მოტივით, სამინისტროს იურიდიულმა დეპარტამენტმა აღარ გააგრძელა პროცედურები სასამართლოს გზით დავალიანების ამოსაღებად, რითაც მათი განმარტებით თავიდან აიცილა საპროცესო ბაჟის (5.0 ათასი ლარი) გადახდა.

სამინისტროში წარმოდგენილ იქნა აღსრულების ეროვნული ბიუროს წერილი, სადაც დაფიქსირებულია რომ მათ წარმოებაშია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2017

²⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 მარტის N2/3566-16 განჩინება

წლის 24 მარტს გაცემული აღსრულების ქვემდებარე აქტი²¹, რომლის თანახმადაც სამინისტრო წარმოადგენს შპს „ნიგი 2009“-ს კრედიტორს. წერილში მითითებულია, რომ ზემოხსენებული კომპანია ლიკვიდირებულია. აქედან გამომდინარე, აღნიშნული დებიტორული დავალიანების ამოღების ალბათობა პრაქტიკულად არ არსებობს.

- 91.7 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება ერიცხება შპს „ლაგი 2009“-ს. აღნიშნული კომპანია, ისევე როგორც შპს „ნიგი 2009“, სამინისტროს რამდენიმე ობიექტზე 2016 წლის განმავლობაში უზრუნველყოფდა კვებით მომსახურებას. კვებითი უზრუნველყოფის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ვადა ამოიწურა 2016 წლის 31 დეკემბერს. სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის მიერ საქმე გაგზავნილია თბილისის საქალაქო სასამართლოში და მიმდინარეობს განხილვა.
- შპს „ადვესა“-ს, რომელსაც წლების განმავლობაში დაქირავებული აქვს ფართები სამინისტროს კუთვნილ სხვადასხვა შენობაში სავაჭრო აპარატების განსათავსებლად, ერიცხება 100.5 ათასი ლარის დავალიანება. კომპანია მხოლოდ ნაწილობრივ ასრულებდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებას საიჯარო ქირის გადახდის თაობაზე, რის გამოც ყოველწლიურად სისტემატურად იზრდებოდა მასზე რიცხული დებიტორული დავალიანების ოდენობა. მიუხედავად ამისა, მასთან ხელშეკრულებების გაფორმება მაინც ხორციელდებოდა. მაგალითად, 2015 წლის 14 იანვარს მასთან გაფორმდა ორწლიანი საიჯარო ხელშეკრულება, მაშინ როდესაც ამ პერიოდისათვის კომპანიას ერიცხებოდა 54.6 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება. დავალიანების ამოღების მიზნით, ამჟამად კომპანიასთან მიმდინარეობს სასამართლო დავა.

შედეგად, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს ბალანსზე 295.2 ათასი ლარის მოთხოვნები ირიცხება მოიჯარეების მიმართ, რომლებსაც ბოლო წლებში დაქირავებული ჰქონდათ ფართები სამინისტროს კუთვნილ სხვადასხვა შენობაში და სისტემატურად არღვევდნენ დაკისრებულ ვალდებულებებს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ იხდიდნენ საიჯარო გადასახდელებს, სამინისტროს მიერ დროულად არ გატარდა შესაბამისი რეაგირების ღონისძიებები (პირგასამტეხლოს დაკისრება, ხელშეკრულებების გაუქმება, შესაბამისი თანხის დაქვითვა) რამაც აღნიშნული დავალიანების დაგროვება გამოიწვია.

2.2 საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა არასრულად შესრულება

ავტოპარკის ოპტიმიზაციის საკითხი

სამინისტროს ცენტრალური აპარატის ფინანსური ანგარიშგებით 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული ავტომანქანების რაოდენობა შეადგენს 1,846-ს, ჯამური საბალანსო ღირებულებით 38,452.7 ათასი ლარი.

²¹N2/7755-15

დიდი ავტოპარკის შესანახად მნიშვნელოვანი ოდენობის საბიუჯეტო სახსრები იხარჯება (დაახლოებით 11 მლნ ლარი), რისი შემცირებაც, მხოლოდ ავტოპარკის ოპტიმიზაციის საკითხის დროული გადაწყვეტით მოხდება.

საქართველოს მთავრობის დადგენილების²² შესაბამისად, სამინისტროს უნდა მოეხდინა ავტოპარკის ოპტიმიზაცია განპიროვნებული და მორიგე ავტომანქანების შემცირებით. განსხვავება დადგენილების მოთხოვნებსა და ფაქტობრივ მდგომარეობას შორის, წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილზე.

ცხრილი N6. განსხვავება დადგენილების მოთხოვნებსა და ფაქტობრივ მდგომარეობას შორის

	მთავრობის დადგენილების შესაბამისად ეკუთვნის	ფაქტობრივ სარგებლობაშია
განპიროვნებული მანქანა	25	630
მორიგე მანქანა	167	583

სამინისტროში არ არის დამტკიცებული შესაბამისი კრიტერიუმები, რომელიც განსაზღვრავს თუ რომელ თანამშრომელს ესაჭიროება განპიროვნებული ავტომანქანა.

სამინისტროს სპეციფიკიდან გამომდინარე, მთავრობის დადგენილებით სამინისტროს 2014 წლის 1 აპრილამდე უნდა წარედგინა არსებული ავტოპარკის ოპტიმიზაციის გეგმა სამთავრობო კომისიისათვის. წარმოდგენილი ინფორმაციით, აუდიტის ანგარიშის თარიღამდე ასეთი გეგმა ოფიციალურად წარდგენილი არ არის, თუმცა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, სამინისტროს სპეციფიკის გათვალისწინებით, მომზადებულია დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რომლის მიხედვითაც განპიროვნებული ავტომანქანები შეიძლება გააჩნდეს სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ განყოფილების უფროსებს და უფრო მაღალი თანამდებობის პირებს, თუმცა დღემდე შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

ადმინისტრაციული ხარჯების შეზღუდვის საკითხი

ქვეყანაში ფისკალური მდგრადობისა და საბიუჯეტო დეფიციტის დაბალი მაჩვენებლის შენარჩუნების მიზნით, საქართველოს მთავრობის განკარგულებით²³ განისაზღვრა ადმინისტრაციული ხარჯების შეზღუდვის პრინციპები, რომლებიც სხვა დანარჩენთან ერთად ითვალისწინებდა შემდეგს:

- მაქსიმალურად უნდა შეზღუდულიყო მივლინების ხარჯების დაფინანსება და საერთოდ აიკრძალა სასწავლო მივლინების ხარჯების დაფინანსება, თუ მიმწვევი მხარის მიერ არ ფინანსდებოდა სამივლინებო ხარჯების 80%.

²² 2014 წლის 6 თებერვალი N121 „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“

²³ 2015 წლის 6 მარტი N422

- უნდა შეზღუდულიყო წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსება „გასაკუთრებული აუცილებლობის გარეშე“ და ეს ხარჯები უნდა შემცირებულიყო 2014 წელს გაწეული საკასო ხარჯის არანაკლებ 20%-ის ფარგლებში.

მთავრობის განკარგულების მიხედვით კი სამინისტროებს დაევალოთ ამ პრინციპების გათვალისწინება 2016-2017 წლების ბიუჯეტების დაგეგმვისას. სამინისტროში, მხოლოდ ნაწილობრივ იქნა შესრულებული ზემოხსენებული მოთხოვნები, რაც წარმოდგენილია ცხრილის სახით.

ცხრილი N7. 2015-2016 წლების მივლინების და წარმომადგენლობითი ხარჯების შედარება (ათას ლარებში)

მუხლის დასახელება	2016 წლის საკასო ხარჯი	2016 წლის გეგმა	2016 წლის ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა 2016-2015 წლების ფაქტობრივ ხარჯებს შორის
მივლინება	1,182.70	530.0	1,405.20	222.50
წარმომადგენლობითი ხარჯი	720.1	589.0	750.7	30.6


შედეგად, მივლინების და წარმომადგენლობითი ხარჯები 2016 წელს გაიზარდა, რის შედეგადაც მთავრობის დადგენილების მოთხოვნები მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა.

2.3 ბიუჯეტის დაგეგმვის ხარვეზები


სამინისტროს ბიუჯეტის დეტალური, ზედმიწევნით ზუსტი დაგეგმვა პრაქტიკულად შეუძლებელია მისი ფუნქციონალური დატვირთვის სპეციფიკიდან გამომდინარე.

სამინისტროს მიერ 2015 წლის 29 აგვისტოს წარდგენილი საბიუჯეტო განაცხადით, ზღვრული მოცულობების ზემოთ მოთხოვნილი იყო 35.0 მლნ. ლარის დაფინანსება. თუმცა, ეს მოთხოვნა არ იქნა გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე, წლის განმავლობაში საბიუჯეტო ასიგნებების ხშირი გადანაწილება ძირითადად გამოწვეულია ობიექტური გარემოებებით, თუმცა დაფიქსირდა ისეთი შემთხვევებიც, რომლებიც მიუთითებს ბიუჯეტის დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებზე, რის შედეგადაც წლის მანძილზე საჭირო გახდა სხვადასხვა მუხლებს შორის ფინანსური სახსრების გადანაწილება (იხილეთ სქემა N2 და N3)

სქემა N2: წლის განმავლობაში საბიუჯეტო ასიგნებების მუხლებს შორის მნიშვნელოვანი გადანაწილება



სქემა N3: 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯები



სამინისტროს არ გააჩნია სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩატარების დამტკიცებული გეგმა. ანუ, არ არის განსაზღვრული თუ კონკრეტულად რომელი ობიექტი ამენდება (ან გარემონტდება) და როდის. ასეთი გეგმის არარსებობა აისახა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესზე, რის გამოც წლის დასაწყისში „სხვა შენობა-ნაგებობის“ მუხლით ასიგნება გათვალისწინებული არ იყო.

ასევე, 2016 წლისთვის, ბიუჯეტის დაგეგმვისას, სატრანსპორტო საშუალებების შესაძენად ასიგნება დაგეგმილი არ ყოფილა, იმ პირობებში, როდესაც 2015 წელს სატრანსპორტო საშუალებების შესაძენად გაიხარჯა 767.6 ათასი ლარი. 2016 წლის მანძილზე სატრანსპორტო საშუალებების შესაძენად გეგმა დაზუსტდა 497.3 ათას ლარამდე, რაც სამინისტრომ სრულად აითვისა.

სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ „მომსახურების სააგენტო“ საკუთარი შემოსავლების ხარჯზე ყოველწლიურად ახორციელებს, როგორც სამინისტროს ცენტრალური აპარატის, ისე მისი ზოგიერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას, ან მათთვის საჭირო მატერიალური ფასეულობების გადაცემას, რისი გათვალისწინებაც ბიუჯეტში არ ხდება. ასეთია მაგალითად საწვავის შესყიდვა, რომელსაც სააგენტო ყოველწლიურად უზრუნველყოფს სამინისტროსთვის.

2016 წლის საწვავის მუხლის დაგეგმვისა და შესრულების მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილზე.

ცხრილი N8. სამინისტროს მიერ 2016 წელს ბიუჯეტში საწვავის მუხლის დაგეგმვა, დაზუსტება და შესრულება (ათას ლარებში)

სამინისტროს მიერ ბიუჯეტით დაგეგმილი ასიგნება საწვავის შესყიდვის მიზნით	29,600.00
სამინისტროს მიერ დაზუსტებული ასიგნება საწვავის შესყიდვის მიზნით	18,000.00
სააგენტოს მიერ სამინისტროსთვის შეძენილი საწვავის ღირებულება	6,838.90
სამინისტროს მიერ შეძენილი საწვავის ღირებულება	18,000.00
სულ ღირებულება	24,838.90

წარმოდგენილი ინფორმაციით სსიპ „მომსახურების სააგენტოს“ მიერ სამინისტროს ცენტრალური აპარატისათვის გაწეული ფინანსური და მატერიალური დახმარების საერთო ღირებულებამ (არამხოლოდ საწვავის შესყიდვის მიზნით) 2015 წელს 27.0 მლნ. 2016 წელს კი 18.8 მლნ. ლარი შეადგინა, რაც ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებული არ ყოფილა.

ეს გარემოება, მისი მოცულობიდან გამომდინარე, უარყოფით გავლენას ახდენს უშუალოდ სამინისტროს ბიუჯეტის დაგეგმვა-შესრულების პროცესზე. იგი ბიუჯეტით დაგეგმილ, დამტკიცებულ და შესრულების მაჩვენებლებს შორის არსებული მნიშვნელოვანი გადახრების ერთ-ერთი განმარტებელი ფაქტორია.

2.4 შრომის ანაზღაურებასა და საკადრო სისტემაში არსებული ნაკლოვანებები

სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ 2016 წელს შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეულია საკასო ხარჯი 85,562.5 ათასი ლარის ოდენობით. გარდა ამისა, შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებამ - 5,910.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული ხარჯების 6.9%-ს შეადგენს.

2016 წლის განმავლობაში სამინისტროს საშტატო ნუსხებში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების გარეშე, რაც „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს²⁴ არ შეესაბამება. კერძოდ, 2016 წლის 18 მარტს გაუქმდა სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრი და მისი ფუნქციები დაეკისრა 3 ახლადშექმნილ დეპარტამენტს (განსაკუთრებულ დავალებათა, სტრატეგიული მილსადენების დაცვის და ობიექტების დაცვის დეპარტამენტებს),

²⁴კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი

ხოლო 3 ოქტომბერს შეიქმნა სრულიად ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფი „ერთობლივი ოპერაციების ცენტრი“.

დანამატი

2016 წლისათვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ასიგნებებიდან „დანამატის“ ქვემუხლით გახარჯულია 17,005.9 ათასი ლარი, საიდანაც 16,911.3 ათასი ლარი (99.4%) შტატით განსაზღვრულ თანამშრომლებზე მოდის.

წლის მანძილზე გაცემული დანამატების სტრუქტურული შემადგენლობა მოცემულია ცხრილის სახით.

ცხრილი N9. სამინისტროს ცენტრალური აპარატის ასიგნებებიდან (კოდი 30 01 01 01) 2016 წელს გაცემული დანამატები (ლარებში)

დასახელება	წელთა ნამსახ.	სპეც. დანამატი	მრავალშვილ.	საკლასო ჩინი	სულ
შტატით	8,968,691.31	7,563,304.99	356,465.12	22,858.90	16,911,320.32
შტატგარეშე			94,548.91		94,548.91
სულ	8,968,691.31	7,563,304.99	451,014.03	22,858.90	17,005,869.23

მოქმედი კანონმდებლობით სამინისტროს თანამშრომლებს შესაძლებელია დაენიშნოთ სპეციალური დანამატები, რომელსაც ნიშნავს მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

როგორც ცხრილიდან ჩანს, სპეციალური დანამატების სახით გაცემულია 7,563.3 ათასი ლარი, რაც „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული საკასო ხარჯის 8.8%-ს შეადგენს.

სპეციალური დანამატის დაწესების შესახებ გამოცემულ ბრძანებებში მითითებულია მხოლოდ დანამატის დაწესების თარიღი და არ არის განსაზღვრული, თუ რა პერიოდით იქნა დაწესებული ეს დანამატი. ანუ, დანამატი ინიშნება განუსაზღვრელი ვადით და მის გაუქმება ხდება ასევე ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული ბრძანებებით არ არის დასაბუთებული დანამატის გაცემის აუცილებლობა და ის თავისი ყოველთვიური შინაარსიდან გამომდინარე, უფრო თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებს.

ამასთან, ზოგ შემთხვევაში, თანამშრომლისათვის დაწესებული დანამატის ოდენობა აღემატება აღნიშნული პირის თანამდებობრივ სარგოს. იმ თანამშრომელთა რაოდენობა, რომლებსაც დაწესებული აქვთ სპეციალური დანამატი მუდმივად იცვლება, რაც სამინისტროში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესს უკავშირდება. 2016 წლის მანძილზე მინიმუმ 70 თანამშრომელს ჰქონდა დაწესებული თანამდებობრივ სარგოზე მეტი სპეციალური დანამატი, რაზეც ჯამში გახარჯულია 2,454.1 ათასი ლარი. სპეციალური დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების სათანადო გამჭვირვალობას, ვინაიდან კონკრეტული ბრძანებები ზოგადია და მიუხედავად მისი ობიექტური საფუძვლებისა მოკლებულია შესაბამის დასაბუთებას.

შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება

2016 წლის მეოთხე კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობამ 7,659 შტატიანი და 779 შტატგარეშე თანამშრომელი (10.1%) შეადგინა.

შედეგად, შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება 2016 წლის საბიუჯეტო კანონით დადგენილ 2%-იან ზღვარს, თუმცა არ აღემატება გამონაკლისის იმ შეთანხმებულ ოდენობას, რომელიც სამინისტროსათვის მთავრობასთან შეთანხმებით იყო დაშვებული 2013 წლიდან.

აღნიშნული შეთანხმებით სამინისტროს (30 01 პროგრამის ფარგლებში) შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობად განესაზღვრა არაუმეტეს 1700 ერთეული, თუმცა, ვერ იქნა წარმოდგენილი თუ რა კრიტერიუმებით მოხდა ამ რიცხვის გაანგარიშება. ჯამურად ზემოაღნიშნული პროგრამით დასაქმებულ შტატგარეშე მოსამსახურეთა ფაქტიური საშუალო ოდენობა 1500 ერთეულს არ აღემატება, რაც დაგეგმილის 88%-ს შეადგენს.

წლის მანძილზე შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების მიზნით გაწეულმა საკასო ხარჯმა 5,911.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული ხარჯის 6.9%-ს შეადგენს. შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება თვეში საშუალოდ 700 ლარია.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითა²⁵ და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესითა“²⁶, შტატგარეშე მოსამსახურე სამსახურში მიიღება გარკვეული ვადით, არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად, ხოლო სამინისტროში დასაქმებული შტატგარეშე თანამშრომელები წლების მანძილზე მუშაობენ ისეთ თანამდებობებზე, რომლებიც თავისი სპეციფიკით, ხშირად არ განირჩევა შტატით დასაქმებული თანამშრომლების საქმიანობისაგან.

აქედან გამომდინარე, სამინისტროს სისტემაში გადასახედია საშტატო პოლიტიკა. შტატგარეშე თანამშრომელთა ოდენობა უნდა განისაზღვროს არგუმენტირებულად, მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად, ხოლო მუდმივი ამოცანების შესასრულებლად გასათვალისწინებელია შესაბამისი საშტატო ერთეულები.


²⁵მე-7 და მე-8 მუხლები

²⁶მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N995 ბრძანებით დამტკიცებული წესების მე-2 მუხლის „ზ“ და „თ“ პუნქტები

2.5 თანამშრომლებისთვის ბინის ქირის განსაზღვრის ნაკლოვანება

ბოლო წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება სამინისტროს მიერ თანამშრომელთათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავების მიზნით გაწეული ხარჯები.

დიაგრამა N1. სამინისტროს მიერ თანამშრომელთათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავების მიზნით გაწეული ხარჯების ზრდის დინამიკა.



აღნიშნული ხარჯები გაწეულია მინისტრის ბრძანებით²⁷ დამტკიცებული წესის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც, „თუ მოსამსახურეთათვის ბინის დაქირავებას ახორციელებს სამინისტრო, ბინის ქირის ღირებულება განისაზღვრება სამინისტროსა და გამქირავებელს (ფიზიკური პირი) შორის გაფორმებული ხელშეკრულებით“. ანუ, ამ შემთხვევაში დაკონკრეტებული არ არის გადასახდელი საიჯარო თანხის განსაზღვრის კრიტერიუმები და არ არის დადგენილი ზედა ზღვარი.

კონკრეტული თანამშრომლისათვის ბინის დაქირავების მიზანშეწონილობის საკითხს იხილავს მინისტრის ბრძანებით²⁸ შექმნილი კომისია. კომისიის სხდომის ოქმებში არ არის არგუმენტირებული თუ რა აუცილებლობით არის გამოწვეული დამატებითი საბიუჯეტო ხარჯების გაწევა და მხოლოდ ის არის დაფიქსირებული, რომ კომისიამ განიხილა სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა შუამდგომლობით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

წარმოდგენილი ინფორმაციით, თანამშრომელთათვის დაქირავებული ბინების საიჯარო გადასახადები მერყეობს თვეში 287.5 ლარიდან, თითქმის 3,000.0 ლარამდე. კომისიის სხდომის ოქმებში მითითებულია დასაქირავებელი ბინის მისამართი და გადასახდელი ქირის (საიჯარო გადასახადის) ოდენობა, თუმცა ქირის ოდენობის კრიტერიუმში განსაზღვრული არ არის.

საიჯარო თანხის განსაზღვრის კრიტერიუმის არარსებობა საბიუჯეტო თანხების არაეკონომიურად განკარგვის მაღალ რისკს წარმოშობს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კრიტერიუმების შემუშავება და შესაბამისი ზღვრების განსაზღვრა.

²⁷ 2013 წლის 31 დეკემბერი N997 „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესი“

²⁸ მინისტრის 2008 წლის 17 მარტის N327 და 328 ბრძანებების (შესაბამისი ცვლილებებით) შესაბამისად შექმნილი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთათვის ბინა დაქირავების მიზანშეწონილობის საკითხის განმხილველი კომისია“.


2.6 სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები

ცენტრალური აპარატის და სსდც-ს მიერ 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და საგრანტო დაფინანსების ფარგლებში შესყიდვების განხორციელების მიზნით, გაფორმებული ხელშეკრულებებისა და ჩატარებული ტენდერების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილსა და დიაგრამაზე.

ცხრილი N11. ინფორმაცია გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ, შესყიდვის საშუალების მიხედვით (ათას ლარებში)

დასახელება	სულ	ელ. ტენდერი	გამარტ. შესყ.	მ.შ. ხვ. წილი გამარტ. შესყიდვებთან		
				საიდუმლო	გადაუდ.	მთავ. სამართ. აქტ.
რაოდენობა	953	496 ²⁹	457	50	93	63
თანხა	96,204.3	86,703.6	9,500.7	1,739.7	1,580.7	1,236.2
თანხა (%)	100	90.1	9.9	18.3	16.6	13.0

დიაგრამა N2. სამინისტროს მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების შედეგები კონსოლიდირებული ტენდერების გარეშე (ათას ლარებში)



სამინისტროში გამოცხადებული ტენდერების 28% უშედეგოდ დამთავრდა (შეწყდა, არ შედგა ან დამთავრდა უარყოფითი შედეგით), რაც გარკვეული პრობლემების არსებობაზე მიანიშნებს.

სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე (დაგეგმვა, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დადგენა, სატენდერო დოკუმენტაციის შედგენა, საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა და ა.შ.) გამოვლინდა სისტემური ხასიათის პრობლემები და დარღვევა-ნაკლოვანებები.

²⁹მათ შორის 63 კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება

2.6.1 შესყიდვების დაგეგმვის ნაკლოვანებები

სამინისტროს მიერ 2016 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში შემუშავებული შესყიდვების წლიური გეგმა შესყიდვების სააგენტოში წარდგენილია 2015 წლის 30 სექტემბერს, რომელიც ითვალისწინებდა 40.0 მლნ. ლარის ღირებულების შესყიდვების განხორციელებას. აღნიშნული გეგმის პარამეტრები მნიშვნელოვან შეუსაბამობაში იყო ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი ბიუჯეტის მონაცემებთან. მაგალითად, შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული იყო 8 მლნ. ლარის ღირებულების საწვავის შესყიდვა, მაშინ როდესაც ამ პერიოდში არსებული ბიუჯეტის პროექტით საწვავ-საპოხი მასალების შესაძენად დაგეგმილი იყო 29.6 მლნ. ლარი.

2016 წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ ძალიან ხშირად არის განხორციელებული მისთვის დამტკიცებული ასიგნებების, როგორც კვარტალური, ისე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამებს შორის გადანაწილება, რაც შესყიდვების გეგმაში შესაბამის ცვლილებებს იწვევდა. შედეგად, შესყიდვების დაზუსტებული გეგმით (31.12.2016წ) შესყიდვების ჯამური მოცულობა 63,686.7 ათას ლარამდე, ანუ 59.2%-ით გაიზარდა.

2016 წლის დამტკიცებულ სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში არ იყო იდენტიფიცირებული, თუ კონკრეტულად რა სახის და რაოდენობის ქონების, ან მომსახურების შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო შესაბამისი ასიგნებებით. საერთოდ არ გაკეთებულა საიდუმლო შესყიდვების გეგმა და ამ კატეგორიის შესყიდვები სპონტანურად ხორციელდებოდა. აღნიშნული, ხელს უშლის როგორც ზოგადად ბიუჯეტის, ისე სახელმწიფო შესყიდვების სწორად დაგეგმვას და საბიუჯეტო ასიგნებების ხშირი გადანაწილების და შესყიდვების გეგმაში სისტემური ცვლილებების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში, შესყიდვების დაგეგმვისას, ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბაზრის კვლევასა და შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების სწორად განსაზღვრას.

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით დაწესებულების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობაა შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება, „რომლის საშუალებითაც უნდა იქნეს მიღწეული დაწესებულების მიზნები საბიუჯეტო სახსრების კანონიერი, გამჭვირვალე, ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული გამოყენებით“. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ორგანიზაციაში მისი ხარჯებისა და შესყიდვების მოცულობის შესაბამისად არსებობდეს ბაზრის კვლევასთან დაკავშირებული ინსტრუქცია, ვინაიდან ის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს კონკურენტუნარიანი და ეკონომიური შესყიდვების განსახორციელებლად. სამინისტროში არ არის შემუშავებული ბაზრის კვლევის ინსტრუქცია.

აუდიტის პერიოდში სამინისტროს შესყიდვების სამსახურის მიერ ბაზრის კვლევა ზოგ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხორციელდებოდა. ამასთან, ზოგჯერ არ ხდებოდა ბაზრის კვლევის პროცესის სათანადოდ დადოკუმენტირება, რის გამოც შეუძლებელია იმის განსაზღვრა, რამდენად სრულყოფილად და კვალიფიციურად განხორციელდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დადგენა. მაგალითად:

2015 წლის 28 დეკემბერს ლოჯისტიკის დეპარტამენტმა წერილით³⁰ სთხოვა ეკონომიკურ დეპარტამენტს საწვავ-საპოხი მასალების შესყიდვის მიზნით ელექტრონული ტენდერის გამოცხადება. ამ კუთხით, სამინისტროს მიერ ბაზრის კვლევა არ ჩატარებულა. წარმოდგენილი იქნა მხოლოდ ერთი კომპანიის, კერძოდ შპს „ტედექს ჯორჯიას“ მიერ მიწოდებული ფასების ცხრილი, ჯამური ღირებულებით 252.2 ათასი ლარი.

აღნიშნული საქონლის შესყიდვის მიზნით³¹ სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი³², სავარაუდო ღირებულებით 234.0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო შვიდმა პრეტენდენტმა³³. გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „AUTO PULSE“, რომელმაც 83.9 ათას ლარად, ანუ სავარაუდო ღირებულებაზე 64%-ით ნაკლებ ფასად შესთავაზა სამინისტროს შესასყიდი საქონელი. შედეგად, სამინისტრომ თავისივე დადგენილ სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით 64%-ით უფრო იაფად შეიძინა პროდუქცია და ასევე მიმწოდებელი არ იყო იმპორტიორი. ამას ადასტურებს მის მიერ ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასამტკიცებლად წარმოდგენილი დოკუმენტი (ინვოისი), რომლის მიხედვითაც მან, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიისგან 79.6 ათას ლარად შეისყიდა საჭირო საქონელი და 5%-იანი ფასნამატით მიაწოდა სამინისტროს.

ინფორმაცია, ზოგიერთი ისეთი ტენდერის შედეგების შესახებ, რომლებშიც მნიშვნელოვანი სხვაობა დაფიქსირდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასა და სახელშეკრულებო ღირებულებას შორის, წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ცხრილი N12. სხვაობა სავარაუდოსა და ხელშეკრულების ღირებულებებს შორის (ლარებში)

მიმწოდებელი	სავარაუდო ღირ.	ხელშ. ღირ.	სხვაობა	%
ი/მ თარაშ ემუხვარი	13,800	3,999	9,801	70.9
შპს „AUTO PULSE“	234,000	83,900	150,100	64.1
შპს „ზახარ“	6,100	2,287	3,813	62.5
შპს „კარპედიეში“	6,300	3,300	3,000	47.2
შპს „KMT GROUP“	4,000	2,180	1,820	45.5
შპს „მირა“	22,900	12,960	9,940	43.4
შპს „აია ტექსტილი“	170,000	99,950	70,050	41.2
შპს „ჯეოესემი“	150,563	88,888	61,675	41
შპს „გმ აუტო“	127,900	81,800	46,100	36
შპს „ჯი-თი-ვი“	50,000	31,200	18,800	38.2
შპს „საინფ.და კავშირგაბმ.სისტემები“	53,600	33,000	20,600	38.4
სულ	839,163	443,464	395,699	47

ზემოაღნიშნული მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სამინისტროს შესაბამისი სამსახური ხშირად ვერ ახერხებს საბაზრო ღირებულებასთან მაქსიმალურად მიახლოებული შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დადგენას, რაც კონკურენციის არარსებობის პირობებში ზრდის საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურად განკარგვის რისკს.

³⁰ N02903021

³¹ ანტიფორზის გარდა

³² SPA160003472

³³ შპს „თეგეტა მოტორსი“, შპს „ვისოლ ავტო ექსპრესი“, შპს „AUTO PULSE“, შპს „ენერჯი პლიუსი“, შპს „გმ აუტო“, შპს „TEDEX GEORGIA“ და შპს „ჯენტო ტრედიინგი“.

2.6.2 არაკონკურენტული და არშემდგარი ტენდერები

სამინისტროში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს უკონკურენტოდ ჩატარებული ტენდერები. ამ პრობლემის მასშტაბებზე მიუთითებს ის გარემოება, ორგანიზებული ტენდერების (კონსოლიდირებულის გარეშე) 49.1% ჩატარდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტის მონაწილეობით და შესყიდვის სავარაუდო ღირებულება უმეტეს შემთხვევაში არ შეცვლილა, ან უმნიშვნელოდ შეიცვალა. ეს გარემოება კი მნიშვნელოვანი რისკის შემცველია, მით უმეტეს, რომ სამინისტროში არსებობს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების სწორად განსაზღვრის პრობლემა.

10 ყველაზე მაღალბიუჯეტის ისეთი შესყიდვის ანალიზმა, რომელშიც მხოლოდ ერთი პრეტენდენტი მონაწილეობდა, გვიჩვენა, რომ ამ შესყიდვების ჯამური სავარაუდო ღირებულება (3,284.6 ათასი ლარი), მხოლოდ 2.2%-ით შემცირდა (3,213.5 ათასი ლარამდე).

შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ცხრილი N13. 10 ყველაზე მაღალფასიანი შესყიდვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა (ლარებში)

ხელშ. N	მიმწოდებელი	სავარაუდო ღირ.	ხელშ. ღირ.	SPA ნომერი	ფასის კლების %
28	შპს „აქვა-ტერა“	142,500	142,500	SPA150033850	0
62	შპს „ჯეოლაბინსტრუმენტები“	143,000	143,000	SPA150033871	0
73	შპს „ქომუნალ ტექნოლოჯი“	350,000	339,933	SPA160000238	2.88
171	შპს „დიკა 2010“	1,033,781	985,998	SPA160007145	4.62
182	შპს კავკასია პლიუსი	154,000	154,000	SPA160007969	0
305	შპს „GLOBALDEFANCE ROUP“	206,700	206,700	SPA160011930	0
354	შპს „არტიფექსი“	157,017	151,842	SPA160015010	3.30
554	შპს „დელტა კომი“	207,060	202,163	SPA160024512	2.37
610	შპს „ბარამბო“	578,062	577,382	SPA160028188	0.12
855	შპს „ტრეიდ პრო“	312,500	310,000	SPA150029930	0.80
	სულ	3,284,620.00	3,213,519.61		2.2

სრულიად განსხვავებულ შედეგს იძლევა მაღალი კონკურენციის პირობებში ჩატარებული ტენდერები. 10 შედარებით მაღალბიუჯეტის ისეთი შესყიდვის ანალიზმა, რომელშიც რამდენიმე პრეტენდენტი მონაწილეობდა, გვიჩვენა, რომ ამ შესყიდვების ჯამური სავარაუდო ღირებულება - 1,318.9 ათასი ლარი, 696.2 ათასი ლარამდე შემცირდა, რამაც საბიუჯეტო სახსრების მნიშვნელოვანი, თითქმის 47.2%-იანი ეკონომია გამოიწვია.

შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ცხრილი N14. 10 ყველაზე მაღალფასიანი შესყიდვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ერთზე მეტმა პრეტენდენტმა (ლარებში)

ხელშ. N	მიმწოდებელი	სავარაუდო ღირ.	ხელშ. ღირ.	SPA ნომერი	%	პრეტენ. რაოდ.
84	შპს „ჯი-თი-ვი“	50,500	31,235	SPA160000581	38.1	2
85	შპს „ჯეოესემი“	150,563	88,888	SPA160000582	41.0	2
106	შპს „აიატექსტილი“	170,000	99,950	SPA160002926	41.2	6
121	შპს „გ.მ. აუტო“	127,850	81,765	SPA160003794	36.0	6
142	შპს „პროესკო“	140,670	82,000	SPA160007955	41.7	5
166	შპს „AUTO PULSE“	234,000	83,900	SPA160003472	64.1	7
309	შპს „ნზ“	236,250	106,500	SPA160012798	54.9	3
311	შპს „ვი.ქეი.ქარდს“	52,000	13,998	SPA160011958	73.1	2
431	შპს „კვალიფიკაცია“	115,143	79,955	SPA160020553	30.6	6
455	შპს „გეა“	42,000	28,000	SPA160018571	33.3	2
	სულ	1,318,976	696,191		47.2	

სამინისტროს შესაბამის სამსახურებს კვლევა არ ჩატარებიათ იმ მიზეზების დასადგენად, თუ რატომ არ იღებენ მონაწილეობას გამოცხადებულ ტენდერებში სხვადასხვა კომპანიები, მაშინ როდესაც ბაზარი მაღალკონკურენტულია.

სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტენდერებში პრეტენდენტთა სიმცირე, ან საერთოდ ტენდერის ჩაშლა, ზოგ შემთხვევაში შეიძლება განპირობებული იყოს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მკაცრი საკვალიფიკაციო მოთხოვნებით, არაპროპორციული სანქციებით, ე. წ. „ჩარჩო ხელშეკრულებების“ გაფორმებით, შესასყიდი საქონლის/მომსახურების ტექნიკური პარამეტრების ზედმიწევნით დეტალური განსაზღვრით და სატენდერო დოკუმენტაციის არასათანადო მომზადებით.

ქვემოთ განხილულია თითოეული ფაქტორი:

არაპროპორციული საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ზოგ შემთხვევაში სამინისტროს მიერ მიმწოდებლებისათვის წაყენებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოთხოვნები გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე განსახორციელებელი შესყიდვის სირთულე, რაც შემზღუდველ გარემოებას წარმოადგენს პოტენციური პრეტენდენტებისათვის და ხელს უშლის კონკურენტული გარემოს შექმნას. მაგალითად:

მაისურებისა და კეპების შესასყიდად გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი³⁴ 41.2 ათასი ლარის სავარაუდო ღირებულებით. შემსყიდველის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილია ჯამში 150.0 ათასი ლარის ღირებულების ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილება 2013, 2014 და 2015 წლებში. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა, რომელთაგანაც „შპს

³⁴SPA150033056

„ტექსტილი“-ის მიერ წარმოდგენილი ფასი იყო ყველაზე დაბალი, მაგრამ ორი მიზეზის გამო იგი ტენდერიდან დისკვალიფიცირდა. კერძოდ:

- ფასთა ცხრილში დაფიქსირდა 40 თეთრიანი (არაარსებითი) სხვაობა;
- კომპანიას არ ჰქონდა 150.0 ათას ლარიანი გამოცდილება ბოლო სამ წელიწადში.

შედეგად, სამინისტრომ უარი თქვა საკმაოდ დაბალ ფასად (33,990 ლარად) საჭირო საქონლის შესყიდვაზე და ხელშეკრულება გააფორმა შპს „ბენ“-თან. ფასთა შორის სხვაობა, თითქმის 18%-ს შეადგენს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შპს „ტექსტილი“-მა, ქურთუკების შესყიდვის მიზნით სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში³⁵, ოთხ სხვა პრეტენდენტზე უკეთესი ფასი წარმოადგინა და 68.4 ათას ლარად მიაწოდა სამინისტროს მათთვის საჭირო პროდუქცია. ასეთი შედეგი სამინისტრომ მიიღო საკვალიფიკაციო მოთხოვნების შერბილებით, კერძოდ, მხოლოდ 80.0 ათასი ლარის ღირებულების ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილების მოთხოვნით, რამაც შესაძლებლობა მისცა სხვა პრეტენდენტებსაც მიეღოთ ტენდერში მონაწილეობა და შექმნილიყო უფრო მაღალკონკურენტული გარემო.

მიწოდებლებისათვის დაკისრებული მაღალი სანქციები

რამდენიმე შემთხვევაში საქონლის მიწოდების ვადების გადაცილებისათვის მიმწოდებელს ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე აკისრებენ პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების და არა მიუწოდებელი საქონლის ღირებულების გარკვეული პროცენტის ოდენობით. მაგალითები წარმოდგენილია ცხრილის სახით.

ცხრილი N15. სხვადასხვა ტენდერში პირგასამტეხლოს ოდენობა

შესასყიდი საქონლის დასახელება	SPA	პირგასამტეხლო (%)	
		ვადაგადგ.	ხელს. არაჯერ. შესრ.
ტყავის სავარძლები	SPA160009163	0.2	5
ფარმაცევტული პროდუქტები	SPA160020222	0.45	
ხილის, ბოსტნეულის და მონათესავე პროდუქტები	SPA160022151	1.19	

- ტყავის სავარძლების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის³⁶ სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ საქონლის მიწოდების ვადების გადაცილებისათვის მიმწოდებელს ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლო მიუწოდებელი ან/და წუნდებული საქონლის ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, რაც საკმაოდ ადეკვატური პირობაა. თუმცა, იქვე დაფიქსირებულია, რომ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის ზემოხსენებულ პირგასამტეხლოსთან ერთად „მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის

³⁵SPA160020556

³⁶SPA160009163

ოდენობით“. სწორედ აღნიშნული პირობა შეიძლება ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ ტენდერში არც ერთმა პრეტენდენტმა არ მიიღო მონაწილეობა და ტენდერი არ შედგა.


- ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის³⁷ სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ საქონლის მიწოდების ვადების გადაცილებისათვის მიმწოდებელს ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.45%-ის ოდენობით. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად მითითებული იყო 26.7 ათასი ლარი. ანუ, კომპანიას მისაწოდებელი საქონლის 1%-ის (267 ლარის ღირებულების) მოწოდებაც რომ დაეგვიანებინა 10 დღით, მას მიუწოდებელი საქონლის ღირებულების თითქმის 5-ჯერ მეტი საჯარიმო თანხის გადახდა დაეკისრებოდა.

„ჩარჩო ხელშეკრულებების“ გაფორმების პრაქტიკა

სამინისტროში დამკვიდრებულია ე.წ. „ჩარჩო ხელშეკრულებების“ გაფორმების პრაქტიკა, რაც სავარაუდოდ, სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერებისადმი პოტენციური მიმწოდებლის ნდობის დაკარგვის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს. კერძოდ, ზოგ შემთხვევაში სამინისტროს ზუსტად არ აქვს განსაზღვრული თუ რა მოცულობის საქონელი და მომსახურება ესაჭიროება და ისე აცხადებს ტენდერს, სადაც უთითებს შესასყიდი საქონელის ან მომსახურების მაქსიმალურ სავარაუდო ოდენობას. თუმცა, წლის მანძილზე ნაკლები საქონლის ან მომსახურების შესყიდვას ახორციელებს.

სატენდერო დოკუმენტაციით არც ერთ შემთხვევაში არ არის დაფიქსრებული ის გარემოება, რომ შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა სავარაუდოა და შეიძლება მისი დიდი ნაწილი არც გახდეს საჭირო. შესაბამისად, კომპანიებმა, რომლებმაც გარკვეული მატერიალური, დროითი და შრომითი რესურსები დახარჯეს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად და გასამარჯვებლად, ვერ მიიღეს შესაბამისი შემოსავალი, რაც უარყოფითად აისახება მათ დამოკიდებულებაზე, როგორც ზოგადად სახელმწიფო შესყიდვების, ისე სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერების მიმართ. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შესაბამისი მაგალითები.

დიაგრამა N3: ხელშეკრულებების ღირებულებასა და მიღებულ მომსახურებას შორის სხვაობა 2 ტენდერის მაგალითზე (SPA ნომერი აღნიშნავს ტენდერისთვის მინიჭებულ ნომერს)



³⁷SPA160020222

შესასყიდი საქონლის/მომსახურების ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების განსაზღვრის ნაკლოვანებები

აუდიტის მიერ შესწავლილი ტენდერებიდან, რამდენიმე შემთხვევაში დაფიქსირდა შესასყიდი საქონლის/მომსახურების ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების შემზღუდველ ჩარჩოებში მოქცევის და ზედმეტად დაკონკრეტების ფაქტები, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს ალტერნატიული წინადადების წარმოდგენის შესაძლებლობებს და შესყიდვის პროცესში არაკონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას განაპირობებს. ასეთ ტენდერებში შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ან არ იცვლება, ან მხოლოდ მცირედ კლებას განიცდის. მაგალითად:

- სავარძლების შესყიდვის მიზნით გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი³⁸, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 136.7 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციით ზედმიწევნით დეტალურად იყო განსაზღვრული საქონლის ტექნიკური მახასიათებლები, რაც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილზე:

ცხრილი N16. სავარძლების ტენდერში განსაზღვრული ტექნიკური მაჩვენებლები

SPA	სავარ. ღირ.	სიმაღლე		ბალიშ. რაოდ	
		დაწეულმდგ.	აწეულმდგ.	საზურგე	დასაჯდომი
SPA160002761	136,700.00	91სმ (±3 სმ)	99სმ (±3 სმ)	12	6

ამავე ტენდერში წარმოდგენილი იყო ფოტო ესკიზებიც, რამაც დიდი ალბათობით, გამოიწვია კონკურენციის შეზღუდვა და ტენდერში მხოლოდ 1 პრეტენდენტის მონაწილეობა. შედეგად, აღნიშნულმა პრეტენდენტმა (შპს „ნოვი სტილი ჯორჯია“) უკონკურენტოდ გაიმარჯვა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ტოლი სატენდერო წინადადებით (136.7 ათასი ლარი).

- 2016 წლისათვის ცხელი სასმელების მოსახარში აპარატების განთავსებისა და მათი მომსახურების შესყიდვის მიზნით, 2015 წლის 15 და 16 ოქტომბერს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერები (SPA150027772 და SPA150027926) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებებით 10.9 ათასი და 26.7 ათასი ლარი.

ცხრილი N17. ცხელი სასმელების მოსახარში აპარატების ტენდერში (SPA150027772) განსაზღვრული ტექნიკური მაჩვენებლები

SPA	სიგრძე	სიმაღლე	სიღრმე	კონტ. რაოდ.	ჭიქ. რაოდ.	მოსარ. ჩხირ. რაოდ.
SPA150027772	40-45სმ	150-160სმ	50-55სმ	5	195	180

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა, რომელმაც კონკურენციის არარსებობის გამო ფასდაკლების გარეშე გაიმარჯვა და მასთან გაფორმდა ხელშეკრულება. მეორე ტენდერის

³⁸ SPA160002761

(SPA150027926) სატენდერო დოკუმენტაციით ასევე ზედმიწევნით იყო დაკონკრეტებული მოთხოვნები აპარატების ტექნიკური მახასიათებლების მიმართ. კერძოდ, მოთხოვნილი იყო 2 სახის აპარატი. მათ შორის ერთის ზომები უნდა ყოფილიყო „337X325X377“, მეორესი კი „390X455X395“. ამ შემთხვევაშიც, ტენდერში მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა მიიღო მონაწილეობა და ღირებულების შემცირების გარეშე გაიმარჯვა.

სამინისტროში ვერ იქნა წარმოდგენილი ზემოხსენებული შესყიდვებისათვის სატენდერო მოთხოვნების ასეთ მკაცრ ჩარჩოებში მოქცევის აუცილებლობის დასაბუთება, რაც ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთ ძირითად მიზანს - კონკურენციის განვითარების ხელის შეწყობას.

მოუზადებელი ტენდერები

აუდიტის მიერ შესწავლილი ტენდერებიდან გამოვლინდა, რომ სამინისტროში ზოგიერთი ტენდერი ცხადდებოდა მოუზადებლად, რაც უმეტეს შემთხვევაში ტენდერების შეწყვეტას და საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვის გაჭიანურებას იწვევდა.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკლოვანება, რაც ტენდერების მომზადებას ახლავს თან არის ის, რომ შესასყიდი საქონლის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლები (ხარისხი, ფუნქციონირება, უსაფრთხოების ზომები, შეფუთვა, ნიშანდობა და ა.შ.) გარკვეულ შემთხვევებში სწორად არ განისაზღვრება, რაც ტენდერის მიმდინარეობის დროს იჩენს თავს.

ასეთ პირობებში სატენდერო კომისია შეწყვეტილად აცხადებს თითქმის დასრულებულ ტენდერს, რაც უარყოფითად აისახება ჯანსაღი კონკურენციის განვითარების პროცესზე. მაგალითად:

- ვიდუო-სამეთვალყურეო სისტემების შესყიდვის მიზნით 2016 წლის მანძილზე ორჯერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი. პირველ შემთხვევაში³⁹, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 33.79 ათასი ლარს, მეორეში⁴⁰, 77.25 ათას ლარს. ორივე ტენდერი შეწყდა შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობების დაზუსტების მოტივით და წლის ბოლომდე აღნიშნული შესყიდვა ვერ განხორციელდა. აღნიშნული ვიდუო-სამეთვალყურეო სისტემების შესყიდვა სამინისტრომ განახორციელა მხოლოდ 2017 წლის 16 იანვარს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის⁴¹ საშუალებით.
- ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა რეცხვით მომსახურების შესყიდვის მიზნით, სამინისტრომ 3-ჯერ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი. ქვემოთ მოცემულ ცხრილზე წარმოდგენილია ტენდერების სავარაუდო ღირებულებები და პრეტენდენტთა წინადადების ფასები.

³⁹SPA1600016264

⁴⁰SPA160025747

⁴¹SPA170001096

ცხრილი N18. ტენდერების სავარაუდო ღირებულებები და პრეტენდენტთა წინადადების ფასები (ლარებში)

SPA	პრეტენდ. რაოდ.	სავარ. ღირ.	პრეტენდ. დასახ. და წინად. ფასები			
SPA160004705	2	24,600	შპს „მ.ზ.“	24,600	შპს „KT Legal Partners“	24,500
SPA160012374	2	24,600	შპს „სამრეცხაოსნ“	16,200	შპს „მ.ზ.“	16,199
SPA160019747	1	25,600	სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"	25,600		

2 ტენდერი (SPA160004705, SPA160012374) შეწყდა იმ მოტივით, რომ საჭირო იყო ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება. მე-3 ტენდერი გამოცხადდა მოგვიანებით, სავარაუდო ღირებულებით 25.6 ათასი ლარი, შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ დოკუმენტაციაში შეტანილი გარკვეული დაზუსტებებით, კერძოდ: მოთხოვნილია რომ, ავტოსამრეცხაო ბოქსების პერიმეტრი კონტროლდებოდეს ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით, დაკომპლექტებული იყოს კვალიფიციური, გამოცდილი და სპეციალური უნიფორმით აღჭურვილი მოსამსახურეებით და ა.შ. ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა, კერძოდ „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიამ“ და მასთან გაფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით 25.6 ათასი ლარი, მაშინ როდესაც წინა ტენდერში თითქმის ანალოგიური მომსახურების მიწოდებისათვის ერთმა პრეტენდენტმა დააფიქსირა 16.2 ათასი ლარი. შედეგად, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენას თითქმის ექვსი თვე დასჭირდა და მომსახურების შესყიდვა განხორციელდა დაგვიანებით და უფრო ძვირად, ვიდრე შესაძლებელი იყო.

- 18.1 ათასი ლარის სავარაუდო ღირებულების აუდიო ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი აპარატურის შესყიდვის მიზნით გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი⁴², რომელშიც მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა. ტენდერს უკვე მინიჭებული ჰქონდა სტატუსი „წინადადებების მიღება დასრულებულია“, როდესაც, სატენდერო კომისიის მიერ⁴³ ტენდერი შეწყდა შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობების დაზუსტების მოტივით. აღნიშნული საქონლის შესყიდვა სამინისტროს დღემდე აღარ განხორციელებია, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს ამ შესყიდვის განხორციელების აუცილებლობას.

ზოგ შემთხვევაში სამინისტროს სატენდერო კომისიის მიერ უკვე ტენდერში გამარჯვებულად აღიარებული პრეტენდენტი არ გამოცხადდა ხელშეკრულების გასაფორმებლად, მიუხედავად იმისა, რომ იგი ოფიციალური წერილით იყო მიწვეული სამინისტროში. აღნიშნულის მიზეზების შესახებ სამინისტრო ინფორმაციას არ ფლობს. შედეგად, ხელშეკრულება ფორმდება უფრო მაღალი ფასის პრეტენდენტთან. მაგალითად:

⁴²SPA160021544

⁴³2016 წლის 26 აგვისტოს N2 სხდომის ოქმი.

ცხრილი N19. ტენდერები, რომელშიც გამარჯვებული პრეტენდენტი არ გამოცხადდა ხელშეკრულების გასაფორმებლად (ლარებში)

SPA	სავარ. ღირ.	პრეტენდენტები	წინად. ფასი	შედეგი
SPA150035974	43,800	შპს „ოლინ“	24,300	დისკვალიფიკაცია
		შპს „მეგა გრუპი“	29,700	გამარჯვებული ხელშ. გასაფორმ. არ გამოცხადდა
		შპს „გმ აუტო“	43,700	გაუფორმდა ხელშ.
SPA160022021	140,000	შპს „ნიტექსი“	118,900	გამარჯვებული ხელშ. გასაფორმ. არ გამოცხადდა
		შპს „ტექსტილი“	124,400	გაუფორმდა ხელშ.
		შპს „მოდელის სახლი მატერია“	126,250	

2.7 ავტომატური დაზღვევის ნაკლოვანებები

2016 წლისათვის სამინისტროს ქვედანაყოფების (საპატრულო პოლიციის გარდა) და ტერიტორიული ერთეულების, აგრეთვე დაქვემდებარებული სსიპ-ებისა და სასაზღვრო პოლიციის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების შესყიდვის ერთობლივად განხორციელების მიზნით, ჩატარდა ელექტრონული ტენდერი. ტენდერის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 2,002.6 ათასი ლარი. აქედან, უშუალოდ სამინისტროსათვის ტერიტორიული ორგანოების ჩათვლით განკუთვნილი იყო 1,353.7 ათასი ლარი.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა⁴⁴, რომელთაგანაც გამარჯვდა „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგმა“, სატენდერო წინადადებით - 1,442.1 ათასი ლარი.⁴⁵

იქიდან გამომდინარე, რომ განსაზღვრული სახსრები არ იყო საკმარისი ყველა ავტომატური დასაზღვევად, ხოლო სადაზღვევო კომპანიები თავს იკავებდნენ მცირე ნარჩენი ღირებულების ავტომატური დაზღვევისაგან, სამინისტროს მიერ დასაზღვევი ავტომატური დაზღვევის სია შედგა კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით. კერძოდ, დაზღვევას დაექვემდებარა ძირითადად 2012-2015 წლებში და შემდგომ გამოშვებული და არანაკლებ 13.0 ათასი ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების⁴⁶ მქონე ავტომატური⁴⁷, ჯამში 1,602 ერთეული⁴⁸. წლიური სადაზღვევო პრემია თითოეულზე განსაზღვრული იყო ნარჩენი საბალანსო ღირებულების 3.38%-ის ოდენობით.

სადაზღვევო მომსახურების შესყიდვისას არაეკონომიურობის მომეტებული რისკის შემცველია რამდენიმე გარემოება:

⁴⁴სა სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“, სს „არდი დაზღვევა“ და „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“. SPA150031902

⁴⁵ გაწეული მომსახურების ღირებულებამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 998.1 ათასი ლარი

⁴⁶2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

⁴⁷2015 წლის 17 ნოემბრის წერილი N256436

⁴⁸მ.შ. ცენტრალური აპარატის 514 ერთეული, ტერიტორიული ორგანოების - 599; სსიპ-ების - 408 და სასაზღვრო პოლიციის - 81 ერთეული. წლის მანძილზე აღნიშნულ სიაში რამდენიმე ცვლილება განხორციელდა და წლის ბოლოს 1,362 ერთეული შეადგინა.

- სამინისტროს მიერ დასაზღვევი ავტომანქანების შერჩევის კრიტერიუმი, მხოლოდ ნარჩენ საბალანსო ღირებულებაზეა დაფუძნებული და არა საბაზრო ღირებულებაზე. ავტომანქანების ექსპლუატაციის რისკებსა თუ ფუნქციონირების თავისებურებაზე. მოქმედი ინსტრუქციით ცვეთის დარიცხვის პირობებში, (საშუალოდ 11%-იანი განაკვეთი) სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომანქანების დიდი ნაწილის ნარჩენი საბალანსო ღირებულება გაცილებით ნაკლებია მათ რეალურ საბაზრო ღირებულებაზე, რაც შეიცავს რისკს იმისა, რომ მათი ჩანაცვლების აუცილებლობის შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიის მიერ მოხდება გაცილებით უარესი მახასიათებლების და დაბალი ღირებულების ავტომანქანის მიწოდება. მაგალითად: ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული, 2007 წელს გამოშვებული „TOYOTA PRADO“-ს მარკის ავტომანქანა რომელიც დაზღვეული იყო ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 17.1 ათასი ლარი, მნიშვნელოვნად დაზიანდა და დაექვემდებარა ჩანაცვლებას. სანაცვლოდ, სადაზღვევო კომპანიის მიერ მიწოდებულ იქნა 2009 წელს გამოშვებული „CHEVROLET EPICA“-ს მარკის ავტომანქანა, რომელიც შეფასებული იყო 17.5 ათას ლარად (შემფასებელი შპს „იუვისი“). აღნიშნული ოპერაცია სამინისტროს ბუღალტერიაში აღრიცხულ იქნა როგორც 0.4 ათასი ლარის არასაოპერაციო შემოსავლების (17.5-17.1) საფუძველი. მაშინ, როდესაც 2007 წელს გამოშვებული „TOYOTA PRADO“-ს მარკის ავტომანქანის საბაზრო ღირებულება დღევანდელი მდგომარეობითაც (2017 წელი) გაცილებით უფრო მეტია ვიდრე 17.5 ათასი ლარი, რის გამოც, რეალურად სამინისტრომ ამ ჩანაცვლებით იზარალა. შესაბამისად, დასაზღვევი ავტომანქანის მხოლოდ საბალანსო ღირებულების კრიტერიუმით შერჩევა ვერ უზრუნველყოფს მისი ჩანაცვლებისას სამინისტროს დაკმაყოფილებას შესაბამისი ავტომანქანით.

- მოქმედი სადაზღვევო პირობებით, რისკის შემცველია სადაზღვევო ხელშეკრულების პირობა, რომლის მიხედვითაც თუ ავტომანქანის აღდგენის ღირებულება აღემატება მისი საბალანსო ღირებულების 65%-ს, ითვლება სრულ განადგურებად და „დამზღვევი უნდა დაკმაყოფილდეს სხვა (მსგავსი) სატრანსპორტო საშუალებით“. ხოლო, სხვა (მსგავსი) სატრანსპორტო საშუალებით დამზღვევის „დაკმაყოფილება უნდა მოხდეს კონკრეტული დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების საბალანსო ღირებულების შესაბამისად“⁴⁹.

ხელშეკრულებაში არ არის დაკონკრეტებული თუ რა იგულისხმება ტერმინში „მსგავსი“: ავტომანქანის მარკა, მოდელი, წლოვანება, დანიშნულება თუ სხვა მახასიათებლები. თუმცა მითითებულია, რომ დამზღვევთან (სამინისტროსთან) „თანხმდება როგორც მიმწოდებელი კომპანია, ასევე მისაწოდებელი სატრანსპორტო საშუალების ზუსტი მოდელი და მიწოდების კონკრეტული ვადები“. არსებული პრაქტიკით, სადაზღვევო კომპანიის მიერ ხდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ნარჩენი ღირებულების მიახლოებული საბაზრო ღირებულების ავტომანქანის შესყიდვა სამინისტროსთვის, ხოლო ჩასანაცვლებელ ავტომანქანის მოძიებას აწარმოებს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელზეც იყო იგი

⁴⁹ იგულისხმება ნარჩენი საბალანსო ღირებულება, რაც დაფიქსირებულია ხელშეკრულების დანართში.

მიმაგრებული. შედეგად, ხშირ შემთხვევაში ჩანაცვლება ხორციელდება ისეთი სატრანსპორტო საშუალებებით, რომლებიც არ შეიძლება განადგურებულის მსგავსად ჩაითვალოს. მაგალითად:

- სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის კუთვნილი „SKODA OCTAVIA“-ის მარკის 2012 წელს გამოშვებული ავტომანქანის ჩანაცვლება განხორციელდა „BMW - X5“-ის 2004 წლის მარკის ავტომანქანით.
- მცხეთა-მთიანეთის და ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტებში 2010 წელს გამოშვებული „TOYOTA HILUX“-ის მარკის 2 ავტომანქანის ნაცვლად მიღებულია 2006 და 2007 წლებში გამოშვებული „VOLKSWAGEN PASSAT“-ის და „HYUNDAI ELANTRA“-ის მარკის ავტომანქანები. რაც, არ შეიძლება მსგავსი მანქანების ჩანაცვლებად განვიხილოთ.

- სამინისტრო სატენდერო პირობად ყველა შემთხვევაში ფრანშიზის (არაანაზღაურებადი მინიმუმის) ოდენობად 0%-ს ითვალისწინებს, რაც ავტომატურად გამორიცხავს სამინისტროს, ან მისი თანამშრომლის (ბრალეულობის შემთხვევაში) გარკვეულ მატერიალურ პასუხისმგებლობას. სამინისტროს კუთვნილ ავტომანქანაზე დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებისა და მათზე რეაგირების საკითხის გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ სადაზღვევო კომპანია სამინისტროს მძღოლების ბრალეულობით გამოწვეულ ავტოსაგზაო შემთხვევების დროს ანაზღაურებდა ხარჯებს და მძღოლებს მატერიალური პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდათ. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ დაუზღვეველი ავტომანქანა ზიანდებოდა სამინისტროს მძღოლების ბრალეულობით, მისი აღდგენა მძღოლებს ეკისრებოდათ.

ცხრილი N20. ინფორმაცია დაზღვეული და დაუზღვეველი ავტომანქანების ავტოსაგზაო შემთხვევებისა და მძღოლების ბრალეულობის შესახებ

	რაოდენობა	მძღოლების ბრალეულობა	% ბრალეულობა
დაზღვეული ავტომანქანები	20	18	90%
დაუზღვეველი ავტომანქანები	71	19	27%
ავტოსაგზაო შემთხვევები სულ	91	37	41%

ზემოაღნიშნული ცხრილიდან გამომდინარე, დაზღვეული ავტომანქანების შემთხვევაში გაცილებით მეტია მძღოლის ბრალეულობით ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა, ვიდრე დაუზღვეველი ავტომანქანების შემთხვევაში.

სადაზღვევო პირობებში ფრანშიზის (არაანაზღაურებადი მინიმუმის) გამოუყენებლობა შესაძლოა უარყოფითად აისახებოდეს მძღოლების ქცევაზე, ვინაიდან სადაზღვევო პირობები გამორიცხავს მათ მატერიალურ პასუხისმგებლობას. მეორე მხრივ, ფრანშიზის გამოყენებამ შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს სადაზღვევო პრემიის ოდენობა.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ავტომანქანების დაზღვევის შესყიდვას ახასიათებს რამდენიმე ნაკლოვანება, რომელმაც შესაძლოა საბიუჯეტო თანხების არაპროდუქტიული განკარგვა გამოიწვიოს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სამინისტრომ

განიხილოს და იმსჯელოს სადაზღვევო მომსახურების შესყიდვის ხარჯთ-ეფექტურობაზე და შეიმუშაოს ისეთი სადაზღვევო პირობები, რომელიც საბიუჯეტო სახსრების პროდუქტიულ ხარჯვას შეუწყობს ხელს.

2.8 საიდუმლო გრიფით განხორციელებული შესყიდვები

სამინისტრო თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, გარკვეული სახის საქონლისა და მომსახურების შესყიდვას ახორციელებს საიდუმლო გრიფით, რის გამოც ამ შესყიდვებზე არ ვრცელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები. აქედან გამომდინარე საიდუმლო ხელშეკრულებების გაფორმება შესყიდვის გამარტივებული მეთოდით ხორციელდება, რაც მნიშვნელოვანი რისკის მატარებელია.

გასულ წლებთან შედარებით აუდიტის პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა სამინისტროს გაფორმებული საიდუმლო ხელშეკრულებების რაოდენობა და საერთო სახელშეკრულებო ღირებულება.

სამინისტროს მიერ საიდუმლო გრიფით გაფორმებული ხელშეკრულებების შერჩევითი შემოწმებით დადგინდა, რომ ზოგიერთი მათგანი (ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების დაახლოებით 5%-ის ოდენობით) არანაირ საიდუმლო ინფორმაციას არ შეიცავს და ვერც შესაბამისი დასაბუთება წარმოგვიდგინეს. აქედან გამომდინარე აუდიტის ჯგუფის წევრები ვერ დავრწმუნდით ამ დოკუმენტების გასაიდუმლოების კანონიერებაში, მაშინ როდესაც, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: „სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნების აუცილებლობის დასაბუთება, ამ ცნობების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ევალება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, აგრეთვე, საწარმოს, დაწესებულებას და ორგანიზაციას, რომელმაც ეს ცნობები შეიმუშავა ან მიიღო განსახილველად და/ან შესანახად“.

3. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და უტყუარ წარდგენაზე, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელების პასუხისმგებლობაა შეაფასონ კომპანიის უნარი განაგრძოს უწყვეტი მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ორგანიზაციამ, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში უნდა გაამყდონ ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენონ აღნიშნული პრინციპი

ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან თუ მათ არ აქვთ რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცნენ.

ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით, და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ს მიხედვით ჩატარებული აუდიტი გამოავლენს არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ISSAI - ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ჩვენ აგრეთვე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებული იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტის მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით დაშვებული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის სისუსტეს.
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესაძლებლობად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან, და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურად მუშაობის თაობაზე.
- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას.
- ვასკვნით, ხელმძღვანელების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი უზუსტობა, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს ორგანიზაციის უნარში განაგრძოს ფუნქციონირება. თუ გამოვლინდა არსებითი უზუსტობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები შეუფერებელია - მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები

დაფუძნებულია აუდიტის მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ საწარმოს ფუნქციონირებადობის საკითხი.

- ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ზოგად ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. აგრეთვე, აკმაყოფილებს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ტრანზაქციების და მოვლენების უტყუარად წარდგენის კრიტერიუმებს.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროს ფარგლებში ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციისა და საქმიანი აქტივობების შესახებ, რომ შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, გაკონტროლებაზე და განხორციელებაზე. აგრეთვე, ჩვენ სრულიად ვაგებთ პასუხს ჩვენს დასკვნაზე.
- ჩვენ ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

აუდიტორთა ხელმოწერა

სახელი, გვარი

თემურ ჩილინდრიშვილი

(მთავარი აუდიტორი)

ბაკურ მატიაშვილი

(უფროსი აუდიტორი)

თენგიზ რამიშვილი

(აუდიტორი)

ანა ზავრაშვილი

(აუდიტორი)

თამუნა ბერუაშვილი

(აუდიტორი)

სალომე კვანტალიანი

(აუდიტორი)

თარიღი

15.11.2017

15.11.2017

15.11.2017

15.11.2017

15.11.2017

15.11.2017

ხელმოწერა

თემურ ჩილინდრიშვილი

ბაკურ მატიაშვილი

თენგიზ რამიშვილი

ანა ზავრაშვილი

თამუნა ბერუაშვილი

სალომე კვანტალიანი

დანართები - სამინისტროს (30 01 01 01) ფინანსური ანგარიშგება
 ფინანსური ანგარიშგების ფორმები (შსს-ს ცენტრალური აპარატი 30 01 01 01)
 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი (30 01 01 01)
 საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

ფორმა №1 - ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

დასახელება	31.12.2016	01.01.2016
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფულადი სახსრები	2,501,916	314,438
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	869,898	404,665
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	16,458,867	15,489,389
სხვა მატერიალური მარაგები	73,929,457	69,979,078
სულ მოკლევადიანი აქტივები	93,760,138	86,187,570
გრძელვადიანი აქტივები		
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	-	-
სტრატეგიული მარაგები	-	-
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	22,227,605	21,900,043
ძირითადი აქტივები	171,797,827	160,100,857

ფასეულობები	-	-
არაწარმოებული აქტივები	32,237,672	75,368,380
სულ გრძელვადიანი აქტივები	226,263,104	257,369,280
ბალანსი	320,023,242	343,556,850
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	800.00	161,431
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	11,787,047	11,296,961
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	11,787,847	11,458,392
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	11,787,847	11,458,392
კაპიტალი		
აქტივების წმინდა ღირებულება	308,235,395	332,098,458
გაუნაწილებელი მოგება	-	-
დაუფარავი ზარალი	-	-
სულ კაპიტალი	308,235,395	332,098,458
ბალანსი	320,023,242	343,556,850

ფორმა №2 - ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტი	ეკონომიური საქმიანობა	სულ	2015 წლის 31 დეკემბერი
ბიუჯეტიდან დაფინანსება	178,158,432		178,158,432	139,103,078
შემოსავლები	131,100,560	-	131,100,560	44,105,739
გადასახადები	-	-	-	-
სოციალური შენატანები	-	-	-	-
გრანტები	130,251,414	-	130,251,414	43,871,103
სხვა შემოსავლები	849,146	-	849,146	234,636
ა. ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლები	-	-	-	-
ბ. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	-	-	-
გ. სანქციები, ჯარიმები, საურავები	670,471	-	670,471	221,923
დ. ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	-	-	-	-
ე. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	178,675	-	178,675	12,713
სულ	309,258,992	-	309,258,992	183,208,817
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	85,553,685	-	85,553,685	44,853,365
საქონელი და მომსახურება	44,120,008	-	44,120,008	35,994,381
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	21,014,222	-	21,014,222	8,972,533
პროცენტი	-	-	-	-
სუბსიდიები	-	-	-	-
გრანტები	157,774,120	-	157,774,120	116,874,448
სოციალური უზრუნველყოფა	1,691,623	-	1,691,623	1,176,793
სხვა ხარჯები	22,759,626	-	22,759,626	19,026,883
რეალიზებული მარაგების ხარჯი	-	-	-	-
სულ	332,913,284	-	332,913,284	226,898,403
ფინანსური შედეგი	(23,654,292)	-	(23,654,292)	(43,689,586)

ფორმა №3 - ფულადი მოძრაობის შესახებ ანგარიში

დასახელება	ბაზინის ერთიანი ანგარიში	საკუთარი ფულადი სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	(23,863,063)	-	-	(23,863,063)
კორექტირებები:	34,669,727	-	-	34,669,727
ცვეთა (+)	21,014,222	-	-	21,014,222
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)	19,371,389	-	-	19,371,389
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	(3,950,379)	-	-	(3,950,379)
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (-/+)	(327,562)	-	-	(327,562)
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	(1,928,028)	-	-	(1,928,028)
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	490,085	-	-	490,085
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	10,806,664	-	-	10,806,664
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში ინვესტიციებიდან	-	-	-	-
არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-
ძირითადი აქტივები	-	-	-	-
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
არაფინანსური აქტივების შეყიდვა	8,458,555	-	-	8,458,555
ძირითადი აქტივები	8,458,555	-	-	-
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-

არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	(8,458,555)	-	-	(8,458,555)
ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	(160,631)	-	-	(160,631)
წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	-	-	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(160,631)	-	-	(160,631)
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება	2,187,478	-	-	2,187,478
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	314,438	-	-	314,438
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	2,501,916	-	-	2,501,916
ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)	-	-	-	-
დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)	-	-	-	-

ფორმა N4 - კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ
ნაშთი წლის დასაწყისისათვის	332,098,458	-	332,098,458
არასაოპერაციო შემოსავლები	9,219,099	-	9,219,099
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	-	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	9,219,099	-	9,219,099
არასაოპერაციო ხარჯები	8,847,440	-	8,847,440
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	-	-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	8,847,440	-	8,847,440
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	580,430	-	580,430
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით მოგების გადასახადი	580,430	-	580,430
-	-	-	-
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	(23,654,292)	-	(23,654,292)
ნაშთი წლის ბოლოს	308,235,395	-	308,235,395

ფორმა №5 - ბიუჯეტის და ფაქტური თანხის შედარების ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა % დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის	საკასო ხარჯი	გადახრა % დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ და საკასო ხარჯს შორის
ხარჯები	128,436,000	168,629,727	-31	169,699,877	-1	332,913,284	163,213,407
მათ შორის:							
შრომის ანაზღაურება	57,204,000	85,563,428	-50	85,562,508	0	85,553,685	(8,823)
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,894,000	8,279,937	-186	8,458,555	-2	-	-
ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	-	-	-	-	-	-	-

განმარტებითი ბარათი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტი

კოდი 30 01 01 01

პერიოდი: 2016 წელი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტი (ს/კ- 204383176, საბიუჯ. კოდი - 30 01 01 01) 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ უზრუნველყოფას უწევს შინაგან საქმეთა სამინისტროს 21 სტრუქტურულ ქვედანაყოფს: ხელმძღვანელობა, ადმინისტრაცია (დეპარტამენტი), საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, მიგრაციის დეპარტამენტი, დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტი, კვლევისა და განვითარების დეპარტამენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი, შიდა აუდიტის დეპარტამენტი, ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო (დეპარტამენტი), გენერალური ინსპექცია (დეპარტამენტი), საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტი, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტი, ეკონომიკური დეპარტამენტი, ლოჯისტიკის დეპარტამენტი, ოპერატიული უზრუნველყოფის დეპარტამენტი, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი, სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი, ობიექტების დაცვის დეპარტამენტი და ერთობლივი ოპერაციების ცენტრი (დეპარტამენტი).

2016 წლის 1 აპრილს ცენტრალურ აპარატს (კოდი 30 01 01 01) შემოუერთდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრი (კოდი 30 01 01 03), რომელშიც თავის მხრივ შედიოდა: განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი, სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი, ობიექტების დაცვის დეპარტამენტი.

შსს ეკონომიკური დეპარტამენტის 2016 წლის 12 თვის ბიუჯეტის დამტკიცებულმა გეგმამ სულ შეადგინა - 131,330,000.00 ლარი, მშ ხარჯები 128 436 000,00 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 2 894 000,00 ლარი, ხოლო დაზუსტებულმა გეგმამ - სულ 180 529 062.00 ლარი, მ.შ. ხარჯები 171 891 591 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 8 637 471,00 ლარი.

2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში ფორმა N2 და დანართი 2-ით წარმოგედენილია ორგანიზაციის ანგარიში შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.

2016 წლის ცენტრალური აპარატის შემოსავლებმა სულ შეადგინა 131 100 560,00 ლარი. მ.შ: 116 216 991,00 ლარი სასაქონლო გრანტია, რაც შესაბამისად ასახულია ანგარიშგების დანართი 5-ში არაფინანსური აქტივების გრანტებით მიღებაში ანგარიშების მიხედვით, 2 361 249 ლარი მიზნობრივი გრანტის ხარჯთაღრიცხვის ნაშთია; 670 471,00 ლარი ჯარიმებიდან შემოსავალია, 178 675,00 ლარი იჯარებიდან შემოსავალია.

1 015 563,00 ლარი შსს საგანგებო ღონისძიებების ცენტრიდან (30 01 01 03) გადმოცემული დებიტორული და კრედიტორული ორგანიზაციების თანხებია; 10 577 286,00 ლარი - სსიპ შსს მომსახურების სააგენტოს მიერ ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე გადასახდელი თანხების დაფინანსება და 80 325,00 ლარი სსიპ შსს მომსახურების სააგენტოზე ვალდებულების გადაცემა.

2016 წლის პერიოდში მიზნობრივ გრანტთან ერთად გაიწია 178,158,432.00 ლარის საკასო ხარჯი.

2016 წლის არასაოპერაციო შემოსავლებმა (8100 ანგარიში) შეადგინა სულ 9 219 099,00 ლარი, საიდანაც 9 094 106,00 ლარი წარმოდგენილია ანგარიშგების დანართი 5-ში, რომელიც გულისხმობს არაფინანსური აქტივების აფასებებსა და რეკლასიფიცირების შედეგად გამოწვეულ ცვლილებებს, ხოლო 124 993,00 ლარი, საიდანაც 5 405,00 ლარი არის შსს გენერალური ინსპექციის დასკვნის საფუძველზე შსს თანამშრომლებზე დაკისრებული დანაკლისების თანხები და 51 020,00 ლარი არის კრედიტორული ორგანიზაციების ჩამოწერა, ხოლო 68 568,00 ლარი წარმოადგენს სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის თანხას, რაც ასახულია ანგარიშგების არასაოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ დანართი 6-ში და შესაბამისად კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში ფორმა 4-ში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ფაქტობრივმა ხარჯებმა მიზნობრივ გრანტთან ერთად სულ შეადგინა 332 913 284,00 ლარი. მ.შ.საქონელი და მომსახურება- 44 120 008,00 ლარი; ფიზიკური ცვეთა-21 014 222,00 ლარი; გრანტები-157 774 120,00 (მშ სასაქონლო გრანტი-157 729 663,00) ლარი; სოციალური უზრუნველყოფა-1 691 623,00 ლარი; სხვა ხარჯები-22 759 626,00 (მშ სასაქონლო-137 161,00) ლარი, რაც შესაბამისად ასახულია ანგარიშგების ფორმა 2, დანართი 5-სა და დანართი 6-ში.

არასაოპერაციო ხარჯმა შეადგინა 8 847 440,00 (მშ სასაქონლო-8 671 296) ლარი, რაც ასახულია ასახულია კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებებმა 3245 ანგარიშზე შეადგინა 580 430,00 ლარი, რაც ასახულია ასევე კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშში.

2016 წლის განმავლობაში გაწეულმა ფაქტიურმა ხარჯებმა გადააჭარბა შემოსავლებს და შესაბამისად ფინანსურმა შედეგმა შეადგინა (- 23 832 967,00) ლარი, შესაბამისად ასახულია ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშში.

საანგარიშო პერიოდის წმინდა ღირებულების საწყისი ნაშთი 332 098 458,00 ლარი, ხოლო საანგარიშო პერიოდის ბოლოს წმინდა ღირებულებამ შეადგინა 308,235,395.00 ლარი.

(332,098,458.00 (წმ.ღირებულება 31.12.2015წ-ის მდგომარეობით) + 131 100 560.00 (შემოსავლები-6000 ანგარიში) + 178,158,432.00(დაფინანსება- 4000 ანგარიში) + 9,397,774.00 (არასაოპერაციო შემოსავლები-8100 ანგარიში) - 332,913,284.00 (ხარჯები-7000 ანგარიში) - 8,847,440.00 (არასაოპერაციო ხარჯები-8200 ანგარიში) - 580,430.00(ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები-3245 ანგარიში) = 308,235,395.00 (წმინდა ღირებულების ნაშთი 31.12.2016წ-ის მდგომარეობით)).

31.12.2015 წლის მდგომარეობით შსს ცენტრალურ აპარატზე რიცხული დებიტორული დავალიანებები გაიზარდა 1,434,711,00 ლარით და 31.12.2016 წლის მდგომარეობით შეადგინა 17 328 765.00 ლარი.

31.12.2015 წლის მდგომარეობით შსს ცენტრალურ აპარატზე რიცხული კრედიტორული დავალიანებები გაიზარდა 329 455 ლარით და 31.12.2016 წლის მდგომარეობით შეადგინა 11 787 847.00 ლარი.

1110 ანგარიშზე არსებული ნაშთი 9 060 ლარის ოდენობით წარმოადგენს სალაროში არსებულ ნაღდ ფულს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

1240 ანგარიშზე ასახულია მიზნობრივი გრანტის ნაშთი 2 492 056 ლარის ოდენობით, რომელიც გაზრდილია 2 361 249 ლარით, რაც გამოწვეულია 30 01 01 03 (შსს სსდც) კოდის და 30 01 01 01 (შსს ცა) კოდის შეერთებით.

1260 ანგარიშზე აღრიცხულია ხაზინის ანგარიშებზე განთავსებული დეპოზიტები. 2016 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთია 800 ლარი, რომელიც შემცირებულია წინა წლის ნაშთთან შედარებით - 160 631 ლარით (160 631 ლარი მიიმართა ბიუჯეტში).

1354 ანგარიშზე აღრიცხულია მიმწოდებლების მიმართ მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, რომელმაც პერიოდის ბოლოსათვის შეადგინა 378 319 ლარი და წინა წელთან შედარებით გაზრდილია 311 511 ლარით. პერიოდის ბოლოს არსებული ნაშთი შესაბამისად წარმოდგენილია დანართი N9-ის „სხვა მოთხოვნები“-ს გრაფაში.

1355 ანგარიშზე აღრიცხულია მოიჯარეების მიმართ მოთხოვნები რომლის ნაშთმა პერიოდის ბოლოს შეადგინა 295 155 ლარი. წინა წელთან შედარებით გაზრდილია 144 500 ლარით და პერიოდის ბოლოს არსებული ნაშთი შესაბამისად წარმოდგენილია დანართი N9-ის „სხვა მოთხოვნები“-ს გრაფაში.

1361 ანგარიშზე აღრიცხულია საშემოსავლოს ხარჯების და აქტივებით ოპერაციების შედეგად საშემოსავლო გადასახადით წარმოქმნილი ნაშთი, რომელმაც პერიოდის ბოლოს შეადგინა 13 999 ლარი.

1431 ანგარიშზე აღრიცხულია მოთხოვნები საქონლისა და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით და პერიოდის ბოლოსათვის და შეადგინა 2 227 838 ლარი, რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილია 263 242 ლარით. პერიოდის ბოლოს არსებული ნაშთი შესაბამისად წარმოდგენილია დანართი N9-ის შესაბამის გრაფაში და ასევე, ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში დანართი N11-ში.

1432 ანგარიშზე აღრიცხულია მოთხოვნები ძირითად აქტივებზე წინასწარი გადახდებით და პერიოდის ბოლოსათვის და შეადგინა 4 586 600 ლარი, რაც წინა წელთან შედარებით შემცირებულია 643 789 ლარით. პერიოდის ბოლოს არსებული ნაშთი შესაბამისად წარმოდგენილია დანართი N9-ის შესაბამის გრაფაში და გრაფაში და ასევე, ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში დანართი N11-ში.

(საანგარიშგებო პერიოდის ნაშთი 1431, 1451, 1461, 1462 ანგარიშზე სულ შეადგენს 6 414 763 ლარს რაც შესაბამისად არის ასახული დანართი ორგანიზაციების ანგარიშებზე რიცხული დებიტორული დავალიანებათა შესახებ ინფორმაცია დანართი N9-ით წარმოდგენილ საქონელი და მომსახურებასა (6,048,678) და სხვა ხარჯებში (366,085) პერიოდის ბოლოს ასახულ ნაშთში).

1440 ანგარიშზე აღრიცხულია მოთხოვნები ორგანიზაციის მომუშავეთა ან სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა ბრალეულობით და პერიოდის ბოლოსათვის და შეადგინა 5 398 755 ლარი, რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილია 1 501 563 ლარით. ზრდის თანხის უდიდესი ნაწილი გამოიწვია შსს სსლგდან (კოდი 30 01 01 03) დებიტორის გადმოცემამ (2008 წლის ომის შედეგად წარმოშობილი დანაკლისი და სხვა). პერიოდის ბოლოს არსებული ნაშთი შესაბამისად წარმოდგენილია დანართი N9-ის შესაბამის გრაფაში.

1451 ანგარიშზე აღრიცხულია მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები, რომელიც წარმოიქმნება სამეურნეო ოპერაციის მოხდენამდე წინასწარ გადახდილი სახსრებით. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების ხარჯებისათვის ანგარიშვალდებული პირების მიერ გატანილი თანხების ოპერაციებით და სხვა გადახდებით. პერიოდის ბოლოს ნაშთმა შეადგინა 4 139 069 ლარი (მშ„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების ხარჯებისათვის ანგარიშვალდებული პირების მიერ გატანილი წლის დასაწყისისთვის იყო 4 267 260 – 31.12.2016წ -ის მდგომარეობით 4 137 088. რაც წინა წელთან შედარებით შემცირებულია 130 172 ლარით). სულ აღნიშნულ ანგარიშზე დებიტორული დავალიანება შემცირდა -175 708 ლარით.


1600 – 2400 ანგარიშებზე არსებული ნაშთები წარმოადგენს 2016 წლის განმავლობაში აღნიშნულ ანგარიშებზე არაფინანსური აქტივების მოძრაობის შედეგებს, რომელთა საწყისი და საბოლოო ნაშთები შეესაბამება ანგარიშების დანართი N 5-ში წარმოდგენილ საწყის და საბოლოო ნაშთებს.

3110 ანგარიშზე აღირიცხულია მოკლევადიანი ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია დეპოზიტების მიღებასთან. პერიოდის ბოლოს ნაშთმა შეადგინა 800 ლარი, რაც წინა წელთან შედარებით შემცირებულია -160 631 ლარით.

3210 ანგარიშზე აღირიცხულია საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხულ ვალდებულებები და პერიოდის ბოლოს შეადგინა 1 531 770 ლარი, რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილია 404 395 ლარით რაც გამოწვეულია უდიდესი ნაწილის შსს სსლცდან (კოდი 30 01 01 03) გადმოცემულმა ვალდებულებების გადმოცემამ. პერიოდის ბოლოს არსებული ნაშთი შესაბამისად წარმოდგენილია დანართი N10-ის შესაბამის გრაფაში და ასევე, ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში დანართი N12-ში.

3220 ანგარიშზე აღირიცხულია ძირითადი აქტივების მოწოდებით დარიცხულ ვალდებულებები და პერიოდის ბოლოს შეადგინა 1 373 257 ლარი, რაც წინა წელთან შედარებით შემცირებულია 18 269 ლარით. პერიოდის ბოლოს არსებული ნაშთი შესაბამისად წარმოდგენილია დანართი N10-ის შესაბამის გრაფაში და ასევე, ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში დანართი N12-ში.

3260 ანგარიშზე აღირიცხულია დეპონირებული ხელფასები და პერიოდის ბოლოს შეადგინა 283 277 ლარი, რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილია 155 871 ლარით. პერიოდის ბოლოს არსებული ნაშთი შესაბამისად წარმოდგენილია დანართი N10-ის შესაბამის გრაფაში ზრდა გამოიწვია ასევე შსს სსლცდან (კოდი 30 01 01 03) გადმოცემულმა ვალდებულებების გადმოცემამ.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ. თბილისი, ქ. შამეგბულის გამზირი N96
ტელ: +995 32 2438438